603ₙ 14.088

№ 15
(11 267)

26 თებერვალი – 1 მარტი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ასწავლა ჭკუა უეფამ ბლატერს?



იოზეფ ზეპ ბლატერი ფიფას პრეზიდენტი კი გახლავთ, მაგრამ ამ ორგანიზაციის უმძლავრესი შემადგენელი ელემენტის იგნორირება მასაც ძვირად დაუჯდა. თუმცა, ჟენევაში უეფას ქვეყნების შეხვედრაზე, სადაც ბლატერიც მიიწვიეს, დიდად განსაკუთრებული არაფერი მომხდარა – უეფამ უბრალოდ აიძულა ფიფას პრეზიდენტი ფაქტობრივად უკან წაეღო თავისი მოსაზრებები მსოფლიო ჩემპიონატის ყოველ ორ წელიწადში ჩატარების შესახებ.

„ჩვენ გვაქვს ათი წელიწადი იმისთვის, რომ ამ პროექტზე ვიმსჯელოთ, სანამ არ გახდება აქტუალური" – განაცხადა უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა, რომელიც ბლატერის ერთ-ერთი თავგამოდებული მაკრიტიკებელია და იქვე დასძინა:

„ბლატერი, როგორც სულგრძელი პრეზიდენტი, არ აპირებს ამ იდეის ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის ხმისმიცემაზე დაყენებას. მან ეს გააკეთა მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მის იდეას საკმაოდ ბევრი დაუჭერდა მხარს. პრეზიდენტმა ყურადღებით მოისმინა ჩვენი არგუმენტები და ჩაუღრმავდა მათ. ყვე-

იხ. მე-3 გვ.

# თემა განსჯისათვის

## ფედერაციები კვდებიან... იქნებ ხსნა რეანიმაციაშია

**მცირე ექსკურსი.** საბჭოთა სპორტულ სისტემაში სპორტული ფედერაციები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ და ისინი შეხმატკბილებულად თანამშრომლობდნენ, როგორც სპორტის უმაღლეს ორგანოსთან, ისე ამ სფეროს სხვა ორგანიზაციებთან. ამგვარ სტრუქტურას სულაც არ შეუშლია ხელი არც შიდა და არც გარე სპორტულ ურთიერთობებში, ყველაფერი წყდებოდა ოპერატიულად და ეფექტურად, საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები კი, ცხადია, პრეტენზიებს ჩვენ ვერ წამოგვიყენებდნენ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ყოფილმა სსრ კავშირის რესპუბლიკებმა, განვითარების თავიანთი გზა აირჩიეს, მათ შორის სპორტში.

**ვინ რა აირჩია.** დამოუკიდებლობამ, რაღა თქმა უნდა, ქვეყნის ცხოვრებაში, სრულიად შეცვალა მიდგომები და უპირატეს მიმართულებად ეროვნული ინტერესები იქცა. ამჯერად სპორტულ ფედერაციებზე ვსაუბრობთ – ყველა მათგანი იმთავითვე გარდაიქმნა დამოუკიდებელ ეროვნულ ფედერაციად. ეს ადვილი საქმე იყო უკვე თავისუფალ ქვეყანაში, ადვილი იყო საერთაშორისო ფედერაციებში გაწევრიანება და გზებიც გაიხსნა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებში დამოუკიდებლად, ეროვნული დროშით სიასპარეზოდ. ყველგან ასე მოხდა ყოფილ საბჭოეთში, მაგრამ ბევრმა შიდა სტრუქტურა იგივე დატოვა. მართვას და ფინანსებს ვგულისხმობთ. მათმა სპორტის სახელმწიფო ხელმძღვანელმა ორგანომ შეინარჩუნა მუშაობის ის სტრუქტურა, რაც ადრე გააჩნდა, ანუ ფედერაციები დარჩნენ საზოგადოებრივ საწყისებზე, ხოლო სპორტის სახელმწიფო ორგანოებში კვლავინდებურად დაიტოვეს განყოფილებები თუ სამმართველოები, სახელმწიფო მწვრთნელები და ა.შ. ჩვენთან კი, როცა მთელი ქვეყანა ეიფორიაში იყო, ფედერაციებმა სრული დამოუკიდებლობა ირჩიეს.

**რა მოგვიტანა ჩვენმა არჩევანმა.** არჩევანს, რომელზედაც ჩვენში შეჩერდნენ, პრობლემების მეტი არაფერი მოუტანია, როგორც თვით ფედერაციებისთვის, ისე, საერთოდ, ქართული სპორტისთვის. დამოუკიდებლად არსებობა, გარდა ფეხბურთის ფედერაციისა, ვერავინ შეძლო. სხვა ფედერაციები ისევ სახელმწიფოს, კერძოდ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის შემყურენი გახდნენ დაფინანსებაში. რა გამოვიდა, ქვეყანას უფრო მეტი საშტატო ერთეულები გაუხდა შესანახი, ვიდრე ეს ადრე იყო. კერძოდ, უწინ თუ სპორტის სათაო ორგანიზაციაში ერთი სახელმწიფო მწვრთნელი განაგებდა სპორტის ამა თუ იმ სახეობას, ზოგჯერ ორსაც და მეტსაც, ხოლო სახეობების ჯგუფი, ვთქვათ, თამაშები, ერთ განყოფილებაში ან სამმართველოში შედიოდა, ახლა შტატები გაიბერა. ამასთან ფედერაციების დიდი დრო მიაქვს სპორტული ღონისძიებების ჩატარების ორგანიზებას, ინვენტარით მომარაგებას, სხვა საკითხებს. არადა, მაშინ, ამ პრობლემასაც შესანიშნავად აგვარებდა ერთი სპორტუზრუნველყოფის სამმართველო, სპორტული ბაზების მოვლა-პატრონობასაც შესაბამისი სამმართველო უძღვებოდა. მწარე გამოდგა დაქსაქსულობის ნაყოფი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტსაც გაცილებით მეტი პრობლემები შეექმნა. ის, რაც ახლა გვაქვს, შესაძლებელია კარგიც იქნებოდა, მაგრამ ფედერაციებს ხომ დამოუკიდებელი შემოსავლები და მისი გარანტიის პერსპექტივაც არ გააჩნიათ.

**უკან მიხედვა ახირებაა?** არავითარ შემთხვევაში! ზემოთ ითქვა, რომ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა (უმეტესობამ) ძველ გზას უერთგულა და გაუმართლათ კიდეც. ახლა იქითაც, ევროპისკენ

იხ. მე-2 გვ.

# ახალი ამბები სფფ-დან

## ნეტცერი და ჩვენები ალბათ საერთო ენას გამონახავენ



ნეტცერი

ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი გიუნტერ ნეტცერი ასევე ცნობილ ფირმა „ტელესპორტის" პრეზიდენტია. ეს ის ფირმაა, რომელზედაც ამდენი ხმაურია ატეხილი სფფ-ს მიერ ადრე დადებული ხელშეკრულების კაბალურობაზე. ბოლოდროინდელმა მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო და ახლა გადაწყდა საკითხი მოგვარების ბოლო ცდაზე სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია პირადად შეხვდნენ ნეტცერს, რაზედაც „ტელესპორტის" პრეზიდენტი დათანხმდა. ეს შეხვედრა-მოლაპარაკება ციურიხში გაიმართება 11 მარტს.

იხ. მე-3 გვ.

# საქართველო 96 ლატვია 98

იხ. მე-3 გვ.



# ქართველ მოკრივეთა „ვერცხლი" და „ბრინჯაო"



დავით ადამაშვილმა გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში დამთავრდა ტრადიციული, 50-ე საერთაშორისო ტურნირი კრივში — „სტრანჯა", რომელშიც 15 ქვეყნის 117 მონაწილეს შორის იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები. გუშინ რედაქციაში გვეწვია ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელი, ზურაბ გუნია, რომელმაც განაცხადა შემდეგი: — ეს ტურნირი საკმაოდ პოპულარულია კრივის სამყაროში და ამჯერადაც ჩვეულებისამებრ უძლიერესი მოკრივეები იბრძოდნენ რინგზე. ქართველ სპორტსმენთაგან, ისინი კი შვიდნი იყვნენ, სამმა საპრიზო ადგილი მოიპოვა.

საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან ჰქონდა საქმე მეორე უმჩატესი

იხ. მე-3 გვ.

# ვულოცავთ!

## გივი ყვარელაშვილი — ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი



საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი თავდადებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, პოლიციის გენერალ-მაიორი ***გივი ყვარელაშვილი*** დაჯილდოვდა III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ***შოთა ახვლედიანი*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

* * *

საქართველოში მთამსვლელობის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და დაბადებიდან 85 წლისთავთან დაკავშირებით ***დიმიტრი ობოლაძე*** დაჯილდოვდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

# ვისთვის ცუდი, ვისთვის კარგი, მაგრამ კარცერში!

როცა მაიკ ტაისონი პირველად მოხვდა ციხეში, არანაირი ექსცესებისთვის არ მიუმართავს. მშვიდად, მორჩილად მოიხადა სასჯელი და თავისუფლებაც ეღირსა. მაგრამ, მერე ლამის კაციჭამიობას მიჰყო ხელი. თუმცა „რკინის მაიკს" ეს შეუნდეს და მოკრივის ლიცენზია დაუბრუნეს. ხოლო თუ რისთვის „ჩააყუდეს" მაიკი ხელმეორედ, ეს ახლო წარსულში მოხდა და ამაზე თავს აღარ შევაწყენთ. მაგრამ ტაისონი ახლა უკვე ციხეშიც ბობოქრობს — მან ტელეაპარატურა დაუშინა მეციხოვნეებს, რის შედეგად ერთ-ერთი მათგანი დაშავდა კიდეც. ჰოდა, რკინის მაიკსაც კარცერში უკრეს თავი — ტაისონი ერთ თვეს განმარტოებულად გაატარებს საკანში. მას ყველანაირი, ადრე არსებული პრივილეგიები მოუხსნეს, მხოლოდ ხანდახან, იშვიათად თუ დართავენ ტელეფონით საუბრის ნებას.



იხ. მე-3 გვ.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოს" ვეტერანი კალათბურთელი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი**

**ალექსანდრე კილაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



მიცურო ობა

# ეს ჯიუტი კაცი ანტარქტიდას და ჩრდილოყინულოვან ოკეანეს გადაეკიდა

მარტოსულმა გარისკო და ანტარქტიდა გადაკვეთო, მართლაც დიდი გამბედაობაა, მაგრამ 46 წლის იაპონელი მოგზაური მიცურო ობა უშიშარი და ჯიუტი კაცი გამოდგა – გადაწყვიტა ანტარქტიდას ფეხით გადავლახავო და საქმესაც შეუდგა. სამწუხაროდ, თხილამურებით მხოლოდ სამხრეთ პოლუსამდე მიაღწია და ბოლო წერტი-

იხ. მე-6 გვ.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# ყველაზე სახელოვანი იაპონელი ფეხბურთელი



ახლა არავინ დავობს, რომ იტალიის „სერია A" მსოფლიოში საუკეთესოა. აქ, გასაგებია, უამრავი ლეგიონერია მსოფლიო სახელით. მაგრამ თუ ასეთ უძლიერეს შეჯიბრებაში ასე გამოიჩენდა თავს იაპონელი, მართლაც მოულოდნელია. სულ მოკლე დროში 22 წლის ხიდეტოში ნაკატამ დიდი სახელი მოიხვეჭა, თუმცა მისი კლუბი „პერუჯა" არაფრით გამოირჩევა და გამწარებით იბრძვის „უმაღლეს საზოგადოებაში" დასარჩენად. ისიც ვთქვათ, რომ ნაკატამ უკვე გაიტანა 9 ბურთი, რაც, ცხადია, მაღალი შედეგია. არა, ბატისტუტასთან მეტოქეობა გაუჭირდება, სხვა სნაიპერების კონკურენტი კი ნამდვილად არის.

— იაპონიაში რომ ვთამაშობდი, სულაც არ ვცდილობდი ვინმეს კერპი გავმხდარიყავი. აქ კი ძალიან ბევრ გულშემატკივარს სწამს ჩემი, მეც ვცდილობ ყველა მატჩში მთელი ჩემი შესაძლებლობები გამოვავლინო. ბევრი „პერუჯას" მედროშეს მიწოდებს. თუკი ასეა, მაშინ ხელებდაკაპიწებულმა უნდა ვიშრომო.

ხელების დაკაპიწებას კი იაპონელს (იაპონელებს!) ვინ ასწავლის.

როცა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „პერუჯამ" ნაკატა მიიწვია, ბევრ ექსპერტს ეს სიცილადაც არ ეყო. სად იაპონელი და სად „სერია A". ბევრი იმასაც ამბობდა, რომ „პერუჯა" ბევრს არაფერს ჰკარგავდა — უმაღლეს ლიგას მას მაინც დაატოვებინებდნენ, ისე რომ, რა განსხვავება იყო, ვინ ითამაშებდა აქ.

საქმე კი სულ სხვანაირად წარიმართა. დღეისათვის „პერუჯა", თუმცა პრობლემებს რა გამოულევს, მაინც ართმევს თავს სიძნელეებს. ეს კი ძირითადად ნაკატას დამსახურებაა, რომელიც ერთდროულად სნაიპერიც არის და გამთამაშებელიც. პირველი წრის შემდეგ იგი „სერია A"-ს საუკეთესო, როგორც ახლა ამბობენ, პლეიმეიკერად მიიჩნიეს, ასეთი შედეგიანობა არცერთ შუა ხაზის მოთამაშეს არა ჰქონია. კიდევ ერთიც — ნაკატა ის ფეხბურთელია, რომელსაც სტადიონზე მაყურებელი მოჰყავს. დიახ, ყველას უნდა ეგზომ ეგზოტიკური ტალანტის საკუთარი თვალით ნახვა. ერთი სიტყვით, იგი ამართლებს იმ 3,5 მილიონ დოლარს, რომელიც „პერუჯამ" გადაიხადა.

საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ახლა იტალიელი ჟურნალისტები დავობენ, რომელი სუპერკლუბი შეიძენს მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ იაპონელს: „იუვენტუსი", „ინტერი" თუ სულაც ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი"? ფეხბურთელი იმდენად ნიჭიერია, რომ პროვინციული „პერუჯა" მას ნაკლებად შეეფერება. ეს ასეა, მაგრამ კლუბი სულაც არ აპირებს თავისი ვარსკვლავის ვინმესთვის დათმობას: „ჯერ დაგვცინოდნენ, მაგრამ ჩვენ სულაც არ მოვტყუებულვართ. ჯერ მხოლოდ იმედი გვქონდა, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდით, რომ ნაკატა უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე გვეგონა. უნდა განვაცხადო, რომ ნაკატა არ იყიდება, ჩვენ ხომ იგი გუნდის გასაძლიერებლად მოვიწვიეთ. თუკი საქმეები კარგად წაგვივა და „სერია A"-ში დავრჩით, მაშინ გაისად ჩვენს რიგებს კიდევ უფრო გავაძლიერებთ „უეფას ზონაში" შესაღწევად. როცა ასეთი გეგმები გვაქვს სისულელე იქნებოდა ისეთი მოთამაშის, როგორიც ნაკატაა, ვინმესთვის დათმობა" — ეს სიტყვები კლუბის დირექტორ-განმკარგულებელ ალესანდრო გაუჩის ეკუთვნის, „პერუჯას" მეპატრონე ლუჩანო გაუჩის შვილს, რომელიც თვით იყო იაპონელის მოწვევის ინიციატორი. აქამდე ნაკატა თავის სამშობლოში კლუბ „ბელმარ ხირაცუკაში" თამაშობდა.

ისე კი, „პერუჯას" მესვეურებს ფულიც აქვთ და ინტუიციაც არ აკლიათ. როგორც კი ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ თითქმის ყველასათვის უცნობი 21 წლის ეკვადორელი ხაიმე კავიედესი 1998 წლის საუკეთესო ფორვარდად გამოაცხადა, იგი დაუყოვნებლივ მიიწვიეს „პერუჯაში". ახლა გოლები ამ მოკრძალებულ კლუბში ნაკატასაც გააქვს და კავიედესსაც.

## „ბარსელონას" სალარო თითქმის ცარიელია...

–იუწყება ესპანური გაზეთი „AS"-ი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კატალონურმა კლუბმა ძმები ბურები შეიძინა. სხვა ფეხბურთელების შესაძენად კი თანხა უკვე აღარ გააჩნიათ. ისე კი, ძალიან უნდათ ისეთი მოთამაშეების შეძენა, როგორნიც არიან ჰოლანდიის ნაკრების მეკარე ედვინ ვან დერ სარი და ფინეთის ნაკრების ნახევარმცველი იარი ლიტმანენი.

რათა კლუბის ფინანსური მდგომარეობა გამოასწორონ, კატალონელები აპირებენ ზოგიერთი მოთამაშის გაყიდვას. ესენია არიან ესპანელები ნადალი და სელადესი, ბრაზილიელი ანდერსონი და ჰოლანდიელი ზენდენი. შემდეგ მოდიან მეკარე ბუსკეტსი, ძმები ოსკარი და როხეს გარსიები, ამუნიკე და ჩირიხი.

## კანტონა „ოლდ ტრაფორდის მეფედ" უცვნიათ

ფრანგმა ერიკ კანტონამ, რომელმაც ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს" ქვეყნის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში პირველობა აალებინა, კლუბის 107-წლიან ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ამ 32 წლის ფეხბურთელის კვალდაკვალ, მომდევნო ადგილებზე შესაბამისად არიან ჯორჯ ბესტი და რაიან გიგზი.




## შოტლანდიელი უშველის აუტსაიდერს

ინგლისის პრემიერ-ლიგაში ურთულეს სიტუაციაში აღმოჩენილმა „ევერტონმა", რომელსაც ლიგის დატოვება ემუქრება, ხელი მოაწერა კონტრაქტს შოტლანდიის ნაკრების 28 წლის მცველ დევიდ უეირთან. მის ანგარიშზეა ეროვნულ ნაკრებში 10 მატჩი და საკმაოდ იაფი დაუჯდა „ევერტონს" — 250 ათასი გირვანქა სტერლინგი.

## მარადონა აღაშფოთა გულშემატკივრების შეურაცხყოფამ

არგენტინის ნაკრების ექს-კაპიტანმა მარადონამ განაცხადა, რომ აუცილებლად იძიებს შურს თავის ყოფილ პარტნიორზე „ბოკა ხუნიორსში" ლატორეზე, რომელიც ამას წინათ „რასინგში" გადავიდა. „მოვნახავ მას და გავასილაქებ, ვნახოთ რას იზამს".

საქმე ის არის, რომ ლატორემ, როცა თავის ყოფილ კლუბს „ბოკას" ბურთი გაუტანა, მიუბრუნდა კლუბის გულშემატკივრებს და ცხვირზე ხელი მოიჭირა. არგენტინაში კი ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცამ „პირი დაალო" და დიდი შეცდომა მოუვიდა. „ბოკა ხუნიორსისათვის" კი, ლატორეს აზრით, ასეთი შეცდომა იყო ამ ფეხბურთელის „რასინგში" გაშვება.

## მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორი

კორეის საავტომობილო გიგანტი „ჰიუნდაი მოტორსი" მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორი იქნება. როგორც ფირმის წარმომადგენელმა სეულში განაცხადა, სწორედ ეს კორპორაცია გამოვიდა გამარჯვებული წამყვან მსოფლიო კონცერნების კონკურსში, ისეთებთან ბრძოლაში, როგორიც არიან „ჯენერალ მოტორსი", „ფორდი", „დაიმლერ-კრეისლერი" „ტოიოტა" და „მისუბისი". ახლა კორეულ კომპანიას უკვე აქვს თავისი პროდუქციის რეკლამის უფლება, როგორც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ოფიციალურ სპონსორს.

## საფეხბურთო გვარი — ამორუზო, გნებავთ, ამოროზო

ისე გამოდის, რომ ამ ბრაზილიური გვარის წარმომადგენელი მაინცდამაინც კარგი ფეხბურთელი უნდა გამოვიდეს. „ფიორენტინაში" თამაშობს ახალგაზრდა ნახევარმცველი კრისტიან ამოროზო. იქვე, არც ისე დიდი ხნის წინათ თამაშობდა მცველი ლორენცო ამორუზო, რომელმაც „გლაზგო რეინჯერსში" გადასვლა არჩია. „იუვენტუსში" გამოდის მაღალი კლასის თავდამსხმელი ნიკოლა ამორუზო.

ფეხბურთელთა ამ გვარში კი №1 ახლა მაინც მარსიო ამოროზოა, ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი. მისი სრული სახელი და გვარია მარსიო ამოროზო დოს სანტოსი, დაიბადა 1974 წლის 5 ივლისს ქვეყნის ოფიციალურ დედაქალაქ ქ. ბრაზილიაში.

ალბერტო მაკერონი, რომელმაც ახლა „მილანში" გააკეთა ის, რაც ვერც არიგო საკიმ შეძლო და ვერც ფაბიო კაპელომ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქმის უფსკრულიდან ამოიყვანა გადაჩეხილი გუნდი, ტალანტების უპირველესი აღმომჩენი და მეურვეა. სწორედ მან გადაიყვანა 1996 წლის ივლისში ბრაზილიის მიყრუებულ შტატ გოიასის კლუბ „გუარანიდან" „უდინეზეში" ამოროზო, რომელსაც თავის სამშობლოშიც კი ცოტა ვინმე იცნობდა. ფაბიო მაღალ შეფასებას აძლევს ამ ფეხბურთელს: „მარსიო მხოლოდ თავდამსხმელი როდი გახლავთ. იგი წინა ხაზის ყველა ნაწილში თავს თანაბრად კარგად გრძნობს. შესანიშნავად მოქმედებს ფრთებზე, უდიდესი სისწრაფე, ბურთის ფლობა და შრომისუნარიანობა იტალიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პერსპექტიულ თავდამსხმელად აქცევს".

1996 წლის ზაფხულში „უდინეზემ" ნაკლებად ცნობილ ბრაზილიელში სულ 600 ათასი დოლარი გადაიხადა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ „უდინეზეს" რომელიც აქამდე მუდმივად „სერია A"-ს დატოვების საფრთხის წინაშე იყო, ამიერიდან სრულიად აღარ გასჭირვებია. შეიქმნა ბირჰოფ-ამოროზოს უძლავრესი დუეტი. 1996-97 წლების სეზონში ეს წყვილი იტალიაში ერთ-ერთი უძლიერესი გახდა: ამოროზომ 12 გოლი გაიტანა, ბირჰოფმა კი, რომელსაც ბრაზილიელი მშვენივრად „ჰკვებავდა" ბურთით, ერთით მეტი. 1997-98 წლების სეზონში „უდინეზემ" მეტ წარმატებას მიაღწია. მართალია, ამოროზო დიდხანს დაშავებული იყო, მაგრამ 5 გოლის ავტორი გახდა და ამასთან ბრწყინვალედ ამარაგებდა ბირჰოფს. გერმანელი 27 გოლით ლიგის პირველი სნაიპერი გახდა, „უდინეზე" კი მესამე ადგილზე გავიდა. ასეთი წარმატება გუნდს ორმოც წელზე მეტი ხანია არა ჰქონია.

1998-99 წლების სეზონმა „უდინეზე" დიდი პრობლემების წინაშე დააყენა. საქმე ის არის, რომ „მილანში" გადავიდა ამ პროვინციული კლუბის ანსამბლის შემქმნელი ალბერტო ძაკერონი. თან გაიყოლია ბირჰოფი და შესანიშნავი დანიელი ნახევარმცველი ჰელვეგი. ასეთ ვითარებაში შარშანდელი წარმატების გამეორებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, მაგრამ „უდინეზე" მაინც მეტად შეუპოვრად იბრძვის, შეიძლება „უეფას ზონაც" არ ასცდეს. ეს, პირველ რიგში, ამოროზოს დამსახურებად მიაჩნიათ, რომელმაც XXI ტურში 11 გოლი გაიტანა და ასე გასინჯეთ, თავის ყოფილ განთქმულ პარტნიორ ბირჰოფსაც (10) კი გაასწრო.

იტალიის ჩემპიონატში ბრწყინვალე თამაშის შემდეგ ამოროზომ ბრაზილიის ნაკრების ახალი, მეტად ამბიციური მწვრთნელის ვანდერლეი ლუქსემბურგოს ყურადღება მიიქცია. მართლაცდა, წინა ხაზის რომელი მოთამაშეების იმედი შეიძლება ჰქონდეთ ბრაზილიელებს? ბებეტოს კარიერა დამთავრებულია და რომ მარიო ზაგალოს სიჯიუტე არა, მას საფრანგეთის მსოფლიო პირველობაზეც არაფერი ესაქმებოდა. ლუქსემბურგო არ არის ის კაცი, ნაკრებში რომარიოს გამომწვევი საქციელი რომ მოითმინოს. ეს რომარიომაც კარგად იცის და ძალიან ცდილობს როგორმე დაკარგული ადგილის დაბრუნებას. რჩება ორი ფორვარდი: ედმუნდო და ელბერი. მათ მწვრთნელმა ამოროზოც დაუმატა, რომელსაც დეკემბერში დებიუტი ჰქონდა რუსეთის ნაკრებთან და ხუთიდან ორი გოლიც გაიტანა. ახლა მას „ბრაზილიის ფეხბურთის ახალ ლეგენდას" უწოდებენ.

## გერმანია ეხმარება დაზარალებულებს

გერმანიის ფეხბურთელთა კავშირმა 50 ათასი დოლარი გამოყო კოლუმბიაში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად. ჩეკი ამ თანხაზე გერმანიის ფეხბურთელთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ-ფორფელდერმა ამასწინანდელი გერმანია — კოლუმბიის ნაკრებების ამხანაგურ მატჩში გადასცა კოლუმბიელთა კაპიტან ხორხე ბერმუდესს. იგი წარმოშობით სწორედ იმ ქალაქ არმენიიდანაა, სადაც სტიქიურმა უბედურებამ რამდენიმე ათასი ადამიანი დააზარალა.

## კონტრაქტი 2004 წლამდე გააგრძელა

ნიგერიელმა ლეგიონერმა ფინიდი ჯორჯმა გააგრძელა კონტრაქტი სევილიის (ესპანეთი) „ბეტისთან" და 2004 წლამდე დარჩება გუნდში. შეთანხმების ნიუანსები ცნობილი არაა. ერთი რამ ცხადია, გუნდს სჭირდება ეს 33-წლის ფორვარდი, რომელიც გულშემატკივართა კერპად იქცა 1996 წლიდან, ამსტერდამის „აიაქსიდან" რომ გადავიდა.

# ეს სუპერსარეზერვო სულშერი

ამ დღეებში სატელევიზიო სპორტულ მიმოხილვაში ეკრანზე თვალშეუსწრებლად გაიელვა ინგლისის პრემიერლიგის კალენდარულ მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედის" 8 გოლმა „ნოტინგემ ფორესტის" კარში, რასაც მეტოქემ მხოლოდ ერთით უპასუხა. ამ 8 გოლთაგან 4 მე-20 ნომერ ფეხბურთელის ანგარიშზე მოდის...



ამ 26 წლის ნორვეგიელმა 1995 წელს მიიპყრო ფეხბურთის სპეციალისტებისა და სელექციონერების ყურადღება, როცა იგი „მოლდეს" შემადგენლობაში გამოჩნდა. მან მალე ნაკრებში გაიკაფა გზა ქვეყნის ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში (19 მატჩში 13 ბურთი ჰქონდა შეგდებული), შემდეგ კი ეროვნულ ნაკრებშიც მოხვდა (14 თამაშში — 6 ბურთი). წარმატებით განაგრძობს იგი გოლიადორობას ბრიტანეთის კუნძულებზეც. ოღონდ ეგ არის, რომ ჯერჯერობით იგი ამას თამაშის საკმაოდ მცირე მონაკვეთში „ახერხებს", როცა შეცვლაზე გამოჰყავთ... ყველაფერი „ვესტ ჰემთან" შეხვედრაში დაიწყო. სულშერი სულ ორი წუთის გამოჩენილი იყო მინდორზე, რომ გაიტანა გოლი და განამტკიცა „მანჩესტერ იუნაიტედის" გამარჯვება. ორი კვირის შემდეგ კი, ინგლისის თასზე „ლივერპულთან" თამაშის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე გამოიყვანეს და შორიდან ძლიერი დარტყმით გუნდი გათამაშების შემდეგ წრეში გაიყვანა. დასასრულ, მისი დიდი წარმატება „ნოტინგემთან". ამ მატჩში ტაიმის ნახევარზე ნაკლები დრო დაჰყო მინდორზე და ოთხჯერ — მე-80, 87-ე და ორჯერ 90-ე წუთებზე გაიტანა ბურთები, რითაც სტატისტიკოსებს თავსატეხი გაუჩინა. გაირკვა რამდენადმე სარეკორდო შედეგი: პრემიერ ლიგაში სულშერმა გუნდს პირველად მოაპოვებინა მეტოქის მოედანზე ასეთი დიდი ანგარიშით გამარჯვება, არც ერთ შეცვლაზე გამოსულ მანჩესტერელს არ ღირსებია 4 გოლის გატანა. და საერთოდ, ბოლო სამ ათწლეულში, მის თანაგუნდელთაგან არავის შეუგდია ასეთი „სწრაფი" ოთხი გოლი სტუმრად. ამის შემდეგ ფორვარდმა საკმაოდ წონადი არგუმენტები წამოაყენა, რომ იგი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში გამოვიდეს. მაგრამ ეს თავმდაბალ ნორვეგიელს სიტყვიერად არ გამოუხატავს — შეუმჩნევლად გავიდა გასახდელიდან და კლუბის ავტობუსში მოკალათებულმა თავი აარიდა გარშემორტყმულ ჟურნალისტებთან შეხვედრას...

სურათზე: ულე-გუნარ სულშერს (№20) მეოთხე გოლის გატანას ულოცავენ თანაგუნდელი დევიდ ბეკხემი და რონი იონსენი.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## საქართველოს თასი



## 1/4 ფინალი
### განმეორებითი მატჩები

**მერანი (თბილისი) – არსენალი (თბილისი) 2-1 (პირველი მატჩი 0-3)**

***მერანი:*** ლომაია, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, ჭინჭარაული (დევიძე, 72), ქორიძე, ჯიშკარიანი (დანელია, 71), თოლორდავა, გ. კვეტენაძე (ცქიფურიშვილი, 80), ხუციშვილი, დავითაშვილი.

***არსენალი:*** ჩლაიძე, ირემაშვილი (ცოტაძე, 47), ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია (აბაზაძე, 64), მ. მაისურაძე (კვირკველია, 71), ზირაქიშვილი, კაკუბავა, ამირიძე. ლაცაბიძე, ტარიელაშვილი.

***გოლები:*** მაისურაძე (59), ხუციშვილი (64, 74).

***გააფრთხილეს:*** ირემაშვილი, კაკუბავა, თოლორდავა, ცოტაძე, ყოლბაია, ქორიძე.

***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

**სამგურალი (წყალტუბო) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 2-0, დამატებითი დრო 0-0, პენალტებით 4-2 (პირველი მატჩი 0-2).**

***სამგურალი:*** ხაჩირიშვილი, ჯავახაძე, ბურნაძე, მახვილაძე (ლ. ქობულაძე, 94), გ. ჯანელიძე, ძაგნიძე, ვოსკანოვი, გ. კილასონია, გიორგობიანი, მ. ჯინჭარაძე (დარსაძე, 95), სუხიაშვილი.

***ვიტ-ჯორჯია:*** ჭურაძე, ჭანკოტაძე (ჭოხონელიძე, 102), ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ერაძე, ზ. გვაზავა, გიორგი ქორიძე (გვირგ. იშვილი, 69), კ. ალადაშვილი, მაზიაშვილი (ხაბულიანი, 106), ი. კაპანაძე, გოჩაშვილი.

***გოლები:*** გიორგობიანი (32), ძაგნიძე (33).

***პენალტები:*** 1-0 გიორგობიანი, 1-1 კაპანაძე, 2-1 სუხიაშვილი, 2-1 ხაბულიანი (ბურთი ძელს მოახვედრა), 3-1 კილასონია, 3-1 გვაზავა (მეკარემ მოიგერია), 3-1 ბურნაძე (მეკარემ მოიგერია), 3-2 ჭოხონელიძე, 4-2 დარსაძე.

***გააფრთხილეს:*** მახვილაძე, გოჩაშვილი, ქორიძე, ჭანკოტაძე, ჯანელიძე, ჯავახაძე, ვოსკანოვი, კილასონია.

***მსაჯი:*** ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი).

**გორდა (რუსთავი) – ტორპედო (ქუთაისი) 0-1 (პირველი მატჩი 0-8).**

***გორდა:*** ბედიაშვილი, ჩიგოშვილი (ბერიძე, 46), ბექაური, სიდამონიძე, მიშველიძე, ინასარიძე, მელაძე, ზირაქაძე, ლაბაძე, ლ. ალადაშვილი (რ. მახარაძე, 40), სიმონიშვილი (ვ. მაჭავარიანი, 65).

***ტორპედო:*** ჭანტურია, ახვლედიანი, ჩხაბერიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, თურმანიძე (კ. ჯანაშია, 58), მაზანაშვილი (იმედაძე, 70), დ. ჯანაშია (ვაჩიბერიძე, 65), მეგრელაძე, იონანიძე.

***გოლი:*** იონანიძე (29).

***გააფრთხილეს:*** ბექაური, ჩხაბერიძე.

***მსაჯი:*** ალექსანდრე მეშკოვი (თბილისი).

*რაკიდა ბათუმელ დინამოელთა და თბილისელ რკინიგზელთა გუნდების მატჩი 9 მარტისთვის გადაიდო, მეოთხედფინალთა განმეორებით შეხვედრებში კვიმატსა და საინტერესოს წყალტუბო და „სინათლე“ გვპირდებოდა. საბოლოოდ, თითით საჩვენებელი, იმერეთში გამართული ბურთაობა გამოდგა – წყალტუბოელებმა ხომ „მშრალი“ ორბურთიანი ფორა ამოუქაჩეს ვიტელებს. აკი პირველი მატჩის შემდეგ წინასწარმეტყველებდით კიდეც, რომ გაიოზ დარსაძის შეგირდებს მძაფრი ბრძოლა სავსებით ხელეწიფებათ და თან რამდენიმე ნაავადმყოფარი წამყვანი ფეხბურთელიც შეეშველებათ-თქო. კარგია, როცა ჩვენს საკლუბო ფეხბურთში დრამატიზმისა და შეუპოვრობის ელემენტები გამოსჭვივის, რითაც ყველა მოგებული რჩება – თვით დამარცხებულსაც არ აწყენს კარგი გაკვეთილი. თუ „სამგურალს“ წილისყრაშიც შეეშველება ფორტუნა და საკბილო „არსენალს“ დაუპირისპირებს, შესაძლოა პატარაზე უფრო მეტი სასწაულიც მოხდეს.*

*ღმერთი იმას სწყალობს, ვისაც მხრებზე თავი აბია. მაგრამ განა „მერანი“ უთავოდ არის, ასე რომ ემანჭება ფორტუნა? განმეორებით მატჩში მერანელებს არც პენალტი გაუცუდებიათ, არც ავტოგოლი გაუშვიათ, მაგრამ საგოლე მომენტების დაახლოებით მხოლოდ 1/4 თუ გამოიყენეს, ასაღები ბურთი ვერ აიღო მათმა გოლკიპერმა, მოკლედ, „მერანმა“ დაგვანახვა, რომ „მშრალი“ სამბურთიანი სხვაობის უვნებელყოფის პოტენცია ნაღდად გააჩნდა და იქნებ ჩემპიონატში მოგვაწონოს კიდეც თავი. „არსენალზე“ კი, აბა რაღა უნდა ვთქვათ – I ჯგუფის დებიუტანტი თასის გათამაშების ნახევარფინალშია. რუსთავში, როგორც მოსალოდნელი იყო, მდარე სანახაობა გაჩაღდა. „გორდამ“ პრესტიჟისთვისაც ვერ გამოიჩინა ფხა, ოღონდ ეგ კია, რომ ორი მატჩის ჯამში ორნიშნა რიცხვით წაგებას გადაურჩა.*

**დათო თავართქილაძე**

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი



## თავი კი გამოიდეს, მაგრამ...

***საქართველო:*** **აბრამიძე (12 ქულა), ბერძენიშვილი (18), ბოისა (17), ჩხეიძე (18), გაგნიძე (10), ჯაფარიძე (12), ქარაბაკი (6), ხოშტარია (4), მაისურაძე (2), ოთიურიძე (7). მწვრთნელი პაატა გურასპაული.**

***ლატვია:*** **ბაგატსკისი (27), ბერნატსი (4), ჰელმანისი (15), ლაკსა (13), მინგლიხიცსი (7), სნეპსი (0), შტელმაჰერსი (13), ვეცვა გარსი (14), ვიტოლსი (5), ზეიდაკსი (0), მწვრთნელი იონის ზელტიჩი.**

***მსაჯები:*** **რომან რიუკი (უკრაინა), იური ლებედევი (რუსეთი).**

ამ მატჩის მოლოდინში ერთგვაროვანი განწყობა და შემართება გულშემატკივრებში ნამდვილად არ იგრძნობოდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ნაკრები უძლიერესებს ვერ უფრიდა თავს, საერთო პესიმიზმი დომინირებდა – გუნდი 8 თამაშ რომ ზედიზედ წააგებს და ყოველგვარ იმედს დაკარგავს, რაღა მაინცდამაინც მეცხრე მატჩი გამოდგებოდა ამაღლებული. ასეთი რამ არ ხდება. თუმცა, არც ამ ნაკრებს და არც ახალბედა მწვრთნელებს პაატა გურასპაულის ხელმძღვანელობით, არ დაუზოგავთ თავი – ის მაქსიმუმი გააკეთეს, რაც შეეძლოთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, კინაღამ დაჯილდოვდნენ კიდეც. მატჩის უკანასკნელი საბედისწერო წამი რომ არა, ვინ იცის...

ისე, ბედის ირონია იქნებოდა, ჩვენს მეტოქეს ეს მატჩი რომ წაეგო. ამას წმინდა სპორტული მოსაზრებით ვამბობთ. პირველ ტაიმში ხომ სტუმრებმა აშკარად დაჯაბნეს ჩვენი გუნდი ზუსტი სროლებით, ჩვენებმა კი ვერა და ვერააწყვეს თამაში დაცვაში. მეორე ტაიმში სურათი ნაწილობრივ შეიცვალა, საქართველოს ნაკრებიდან განსაკუთრებით გააქტიურდნენ ჩხეიძე, ბოისა და ბერძენიშვილი, ეფექტურად ირჯებოდა ჯაფარიძე. ეს გამარჯვება ლატვიელებს ძალიან სჭირდებოდათ, რადგან IV ადგილით საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის გარეშე ინარჩუნებდნენ ევროპის მომდევნო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გამოსვლის უფლებას.

პოლიტიკურმა მოძრაობამ „სპორტული საქართველო“ სპეციალური პრიზი დააწესა მატჩში საქართველოს ნაკრებიდან საუკეთესო კალათბურთელისთვის. პრიზი დიმსახურა ვლადიმერ ბოისამ, რომელსაც იგი გადასცა „სპორტული საქართველოს“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ცნობილმა ფალავანმა გურამ საღარაძემ.

**მ. ფუფუნავა**

# ახალი ამბები სფფ-დან

*(პირველი გვერდიდან)*

## აგენტს ენდე, მაგრამ გადაამოწმე!

**როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უეფას აგენტმა კოლუმბიასა და კოსტა-რიკაში ამხანაგური მატჩების გამართვა შესთავაზა. სფფ-მ ეს წინადადება გააცნო ვლადიმერ გუცაევს, რომელმაც თავის მხრივ მოიწონა შემოთავაზება. სფფ-მ მაინც სიფრთხილე გამოიჩინა და აგენტის პარალელურად ფაქსი გაუგზავნა მიმპატიჟებელ ქვეყნებს, რათა საბოლოოდ გაირკვეს ეს აგენტის მიერ თავსმოხვეული წინადადებაა თუ კოლუმბიელებს და კოსტარიკელებს თავადაც გულით სწადიათ ჩვენს ნაკრებთან შეხვედრა.**

## ნორვეგიაც და უეფაც დათანხმდნენ

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს, როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრები ნორვეგიელებთან თბილისში 28 აპრილს გამართავს. სფფ-მ სთხოვა ნორვეგიელებს იმავე დღეს ჩატარდეს 21-წლიანთა ნაკრების მატჩიც და იგივე პირობით 30 მაისს ნორვეგიაში საპასუხო შეხვედრა. ნორვეგიელებმა მიიღეს ჩვენების წინადადება. ორმხრივ შეთანხმებას მხარი უეფამაც დაუჭირა. ასეთი ნაბიჯი გამოწვეული იყო ხარჯების შემცირებით, რაც დღეს ესოდენ მნიშვნელოვანია ფინანსურ კრიზისში მყოფი სფფ-სთვის.

## სფფ-მ ბელგიის ფედერაციას მიმართა

ის, რაც ქართველ ფეხბურთელებს და მწვრთნელ დავით ყიფიანს შეემთხვა ბელგიის საფეხბურთო კლუბ „რასინგ მეხელენში“, ცხადია, სფფ-ს რეაგირების მიღმა ვერ დარჩებოდა, თუმცა აჩქარებაც არ იქნებოდა მიზანშეწონილი. სწორედ ამიტომ, სფფ-მ ფაქსით მიმართა ბელგიის ფედერაციას, საიდანაც დაუყოვნებლივ მიიღეს პასუხი, რომ საკითხს დაწვრილებით შეისწავლიან, შედეგებს კი დაუყოვნებლივ აცნობებენ სფფ-ს.



## ასწავლა ჭკუა უეფამ ბლატერს?

*(პირველი გვერდიდან)*

ლაფერი ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბლატერის იდეა დასამარდა. ჩვენ შევთანხმდით, რომ უეფა პირველი იქნება, ვინც ფიფას წარუდგენს ჰარმონიულ საერთაშორისო კალენდარს". ბლატერმა ამის თაობაზე იმედი გამოთქვა, მაგრამ სინანულით აღნიშნა, – ჩემი გეგმები მონდიალის ორწელიწადში ერთხელ ჩატარების თაობაზე, გაიყინაო. მაგრამ ზეპი მაინც შემართულად, მხნედ განასახიერებდა ჟენევაში. საკუთარ პერსონას და აზრებსაც. ის ირწმუნება, რომ კვლავაც გააგრძელებს თავისი იდეის პროპაგანდას და დარწმუნებულია, გარკვეული დროის შემდეგ, უეფა დაინახავს მისი მოსაზრებების უპირატესობებს. „უბრალოდ, ახლა მთავარი საკითხი საერთაშორისო კალენდარია“ – თქვა ფიფას პრეზიდენტმა და თან დაიქადნა: „უეფა ჩემს იდეას არ მფარველობს, მაგრამ კარჩაკეტილიც ვერ იქნება“. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბლატერის მარცხი დროებითია, თუმცა, მისი ავტორი დიპლომატიურად, მაგრამ ნათლად იმუქრება. არც იუჰანსონია ჯაბანი – შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მან პირველად ის აღნიშნა, რომ ბლატერს უფლება არ ჰქონდა უეფას დაუკითხავად თავისი იდეები პრესაში გამომემზეურებინა. ამით იუჰანსონმა ფიფას პრეზიდენტი ფაქტობრივად უტაქტობაში დაადანაშაულა.

მოკლედ, საფეხბურთო „ცივი ომი“ აშკარაა, მაგრამ ვინ ვის? საკითხავი აი ეს არის.

**დათო თავართქილაძე**

## ანატოლი კარპოვი: მთელი ეს ლაპარაკი ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატის ზაფხულში ლას-ვეგასში ჩატარებაზე „ლიპაა“!

**რას ფიქრობს ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი მომავალი საჭადრაკო შეჯიბრებების შესახებ?**

● ***თუ შეიძლება, გვითხარით, რა არის თქვენთვის ცნობილი ლას-ვეგასის უარის შესახებ, ჩაატაროს ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონატი?***

– ჩემი აზრით, ლას-ვეგასი არც არასოდეს დათანხმებულა ჩაეტარებინა იგი. არაფერი ამის მსგავსი არა ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, რაიმე დოკუმენტი არ შექმნილა. რაც შემეხება მე, რაიმე საბუთი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე არც ფიდესაგან მიმიღია და არც არავისგან. ამიტომაც არ ვიცი, რატომ წერს მთელი პრესა იმის შესახებ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ივნის-ივლისში ლასვეგასში გაიმართება.

● ***ამის შესახებ ლოზანიდან ტელეფონით იუწყებოდა ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ანდრეი სელივანოვი, რომელიც ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდა.***

– რაც შემეხება მე, ამის შესახებ არაფერი ვიცი, ფიდეს ჩემთვის არავითარი დოკუმენტი არ გამოუგზავნია. ელისტაში ხელმოწერილი შეთანხმების ძალით, ფიდემ მე უნდა შემატყობინოს, ჩემთან შეათანხმოს ყოველგვარი ცვლილება მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ვადების შესახებ. ეს არ გაკეთებულა. და, საერთოდ, რამდენადაც ვიცი, რაიმე რეალური ნაბიჯი ამის შესახებ ფიდეს არც კი გადაუდგამს. ვფიქრობ, ყოველივე ეს ნამდვილი „ლიპაა“, მათ შორის რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტ სელივანოვის აზრიც.

● ***თქვენ გნებავთ განაცხადოთ, რომ ყოველივე, ეს ფალსიფიკაციაა, ბლეფია?!***

– შეიძლება რაღაც მოლაპარაკება კიდევაც იყო, მაგრამ მას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. ამას წინათ ვიყავი ლას-ვეგასში, ველაპარაკე აშშ-ის ჭადრაკის ფედერაციის მესვეურებს და არც ერთ მათგანს არ უთქვამს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ამ ქალაქში ჩატარდება. სხვა რამე კი თქვეს: ფიდეს სახელით. ჰქონდათ მოლაპარაკება ლას-ვეგასთან, მაგრამ მას რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

● ***ხომ არ გეჩვენებათ ყოველივე ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურად?***

– რა თქმა უნდა, მეჩვენება. მას შემდეგ, რაც მარცხი განიცადა ცდამ, მსოფლიო ჩემპიონატი იანვარში ჩაეტარებინათ, ფიდეს ჩემთვის ოფიციალური ინფორმაცია უნდა გამოეგზავნა.

● ***ხომ არ დაუკავშირდებით ფიდეს ხელმძღვანელობას, რათა შეიტყოთ, საქმე როგორ იქნება?***

– დეე, ისინი თვით დამიკავშირდნენ. საერთოდ, ახლა ფიდეს ხელმძღვანელობაში (მხოლოდ პრეზიდენტი ილიუმჟინოვი როდი მყავს მხედველობაში) რაღაც უცნაური წესებია, მეტი რომ აღარა ვთქვათ. ისინი ასე თვლიან, მთავარია მოჭადრაკეების თავმოყრა და დეე ითამაშონ, როგორც სურთ. მომზადების საკითხი ვარჯიშის, განწყობის საკითხი – ეს რა, არაფერია? ეს უკვე არავის აინტერესებს? რაღაც მსუბუქი, ზედაპირული დამოკიდებულებაა. ახლა ფიდეს შტაბ-ბინაში, ჩემი აზრით, შეუფერებელი, მოუმზადებელი ადამიანები არიან, რომლებმაც არ იციან, როგორ უნდა იმუშაონ.

ახლა მხოლოდ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის კი არა, ქალთა პირველობის საკითხშიც დიდი გაუგებრობაა. ჟუჟა პოლგარს შვილი უნდა შეეძინოს, მას კი აიძულებენ მატჩი ითამაშოს! დამეთანხმეთ, ფიდეს თავის ჩემპიონებთან მაინც ხომ უნდა ჰქონდეს კავშირი. როცა ნათელი გახდა, რომ პოლგარს მარტში შვილი უნდა შეეძინოს, მისი მატჩი სიე ჟუნთან ივნისისათვის გადადეს. ეს რომელი შრომითი კოდექსის ძალით ხდება, რომ ქალს შვილის შობის ორი თვის შემდეგ აიძულებენ ესოდენ მძიმე სამუშაო შეასრულოს?

● ***საფრანგეთში გაიმარჯვეთ მსოფლიო თასის შეჯიბრებაში სწრაფ ჭადრაკში. ეს იყო თქვენი 149-ე გამარჯვება ტურნირებსა და მატჩებში. ადრე თქვენ გეგმავდით საიუბილეო 150-ე მოგებისათვის მსოფლიო ჩემპიონატზე მიგეღწიათ.***

– ვგეგმავდი, მაგრამ ის კი აღარ ვიცი, როდის და სად გაიმართება ეს მსოფლიო ჩემპიონატი.

## ვისთვის ცუდი, ვისთვის კარგი, მაგრამ, კარცერში!

*(პირველი გვერდიდან)*

ამან მოკრივის მეუღლე მონიკა ძალიან აღაშფოთა. მისი თქმით, მაიკი ციხეში ანტიდეპრესიულ პრეპარატებს ხმარობდა, მაგრამ ციხის ექიმმა ზედიზედ, რამდენიმეჯერ, არ მიაწოდა მოკრივეს სათანადო წამლები. ფაქტობრივად, იგივეს ლაყბობს ტაისონის ადვოკატი პოლ კემპი, აქაოდა, ჩვენს მაიკს ორი თერაპიული დოზა გამოატოვებინეს ციხის ექიმებმაო. სატუსაღოს ხელმძღვანელობა ამას, რა თქმა უნდა, უარყოფს და აცხადებს, რომ მოკრივის აბობოქრების მიზეზი მისი ვიღაცასთან სატელეფონო საუბარი იყო. მეციხოვნეების თქმით, ტაისონი სატუსაღოს ავტორიტეტებისთვის არანაირ ღირსებას არ წარმოადგენს და ქედსაც არ უხრის მათ. სამაგიეროდ, ციხის დანარჩენ მობინადრეებში „რკინის მაიკი“ ძალიან პოპულარულია. ტაისონი მათ ფულითაც კი ეხმარება, რათა რიგით პატიმრებსაც ჰქონდეთ საშუალება ციხის მაღაზიის ასორტიმენტით შეიქციონ თავი.

**დათო თავართქილაძე**

## ქართველ მოკრივეთა „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“

*(პირველი გვერდიდან)*

წონის (51 კგ) ახალგაზრდა მოკრივეს დავით ადამაშვილს. მან პირველსავე შეხვედრაში ძნელ ამოცანას გაართვა თავი და სძლია მასპინძელ დ. გადჯევს, მომდევნო ბრძოლაში კი მოლდაველ გ. სამოილენკოს დააურევინა ფარ-ხმალი, მესამე ბრძოლა კი ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე უკრაინელ ო. კირიუხინთან ჰქონდა, და დაამარცხა, მეოთხე მეტოქე კი თურქ აგასისთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ადგილობრივ მოკრივესთან მოუწია ბრძოლა ახალგაზრდა ლ. იოსელიანსაც (57 კგ), რომელმაც დაამარცხა იგი. წილისყრამ არც მომდევნო შეხვედრაში გაუღიმა, როცა ევროპის ჩემპიონ და კეთილი ნების თამაშების ფინალისტთან ნ. მიტიშჩევთან არგუნა ბრძოლა. გამარჯვება რუს მოკრივეს დარჩა და იოსელიანს ბრინჯაოს მედალი გადასცეს.

ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა ფოთელი ვლადიმერ ჭანტურიაც (91 კგ). მანაც პირველ ბრძოლაში რინგის მასპინძელი, ა. დიმოვი დაამარცხა, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში ცნობილ კუბელ ფელიქს სავონს „დაეჯახა“ და გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა. ამით ქართველი მოკრივე ბრინჯაოსმედალოსანი გახდა.

ჩვენს მოკრივეებს ახლდა ქართველი არბიტრი დავით ქავთარაძე, რომელსაც საუკეთესო მსაჯობის წყალობით საერთაშორისო კატეგორიის (აიბა) წოდება მიენიჭა.

პლოვდივის ტურნირში ქართველმა მოკრივეებმა საკმაო გამოცდილება მიიღეს, რაც გამოადგებათ სიდნეის ოლიმპიადისათვის სალიცენზიო ბრძოლებში.

**ჩაიწერა ჭ. უნბიაძემ**

# წითური ყოჩის დრამა

**ვის რაში სჭირდება დღეს ლიბერო? უკანა მცველით თამაში ფეხბურთის გუშინდელი დღეა, მხოლოდ „დაჩლუნგებული გერმანელები" არ იშლიან თავისას და აკი საკადრისად ისჯებიან კიდეც-**

ფეხბურთი ცხვრის ფარა კი არ გახლავთ, ის დემოკრატიის საუკეთესო ნიმუშია. ლიბეროს ყოფნა-არყოფნის თემა 90-იანი წლებიდან წარმოიშვა და ბევრმა სახელოვანმა კლუბმა თუ ნაკრებმა მოდერნიზაცია ზონურ დაცვაზე გადასვლით მოისურვა. და მართლაც, საფეხბურთო ყოჩები ძირითადად ფორვარდები ან ფლეიმეიკერები არიან, იშვიათად მეკარეები თუ შეეცილებიან მათ ამაში. „კაცზე მოთამაშე" მცველებს მეტად მოკლე დიაპაზონის გასაქანი აქვთ — აეკიდე ფორვარდს და რადაც უნდა დაგიჯდეს, ამოკეტე. სადღა არიან ფლანგებზე მოთამაშე ვირტუოზები? ისინი, უბრალოდ, გაქრნენ ან ჟამთა სვლამ გათელა. ლიბერო! „დაჩლუნგებული გერმანელების" ეს უსაყვარლესი მცნება კი, ჯერ კიდევ კრთის „ცის კამარაზე".



გერმანულ ფეხბურთში ახლა ძალიან ბევრმა ყოფილმა გდრ-ის მკვიდრმა მოთამაშემ წამოყო თავი (მარშალი, კირსტენი, ჰაინრიხი...), მაგრამ ბერლინის კედლის დანგრევისთანავე მხოლოდ ერთადერთმა დაიმსახურა უმწიკვლო რეპუტაცია — დრეზდენის „დინამოს" წითური ფეხბურთელის გრაცია დასავლეთგერმანელ სპეციალისტებში აღტაცებას, აუხსნელ ინტერესს, დაშტერებას (კარგი გაგებით) იწვევდა. მათ დაუნოსეს მათიას ზამერის ტალანტი, მაგრამ ბოლომდე ვერ იჯერებდნენ, ვერ წინასწარმეტყველებდნენ აღმოსავლეთგერმანელი ბიჭის დიდ მომავალს. ყველაზე გაბედული და მიზანდასახული „შტუტგარტი" აღმოჩნდა, რომელმაც გადაიბირა ზამერი. მას მყისვე ეროვნული გუნდის თავკაცმა ბერტი ფოგტსმაც დაადგა თვალი. ერთი ნახვით შეყვარება, ან რაღაც ამის მაგვარი, ალბათ ფეხბურთშიც არსებობს — მათიას ზამერი ბერტი ფოგტსის საყვარელ ფეხბურთელად იქცა, პედანტური ბერტი მხოლოდ ზამერთან ღალატობდა პრინციპებს, მხოლოდ ზამერის გრაციაზე იშაქრებოდა და დნებოდა. ზამერს არასოდეს ჰყოლია მეგობრები (ჩვენებურად, ძმაკაცები) კლუბებში თუ ნაკრებში, რასაც თვითონვე აღიარებდა. ზამერს უჭირდა სულიერი აკლიმატიზაცია გუნდიდან გუნდში გადასვლისას, მაგრამ მას ყოველთვის ათბობდა ბერტი ფოგტსის მზრუნველობა და უდიდესი ნდობა... 1996 წლის 30 ივნისი, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გერმანია ჩეხეთს ხვდება, 59-ე წუთზე ინიშნება პენალტი გერმანელთა კარში, ზამერის და ბერგერის ორთაბრძოლა გერმანელთა საჯარიმოს გარეთ მოხდა, მაგრამ არბიტრმა მაინც 11-მეტრიანის ნიშნულზე მიუთითა. „ზამერმა ჩემთან მოირბინა და მითხრა, რომ პენალტი არაობიექტურად დაგვინიშნეს, მაგრამ მაინც მოვიგებთო" — ასე იხსენებს (ჩეხები მაშინ პენალტით დაწინაურდნენ) ამ ეპიზოდს ბერტი ფოგტსი, რომლის ბიჭებმაც მართლაც მოიგეს ეს მატჩი და გერმანია მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი. ტრიუმფატორებს ჰყავდათ კლინსმანი, ჰესლერი, მიოლერი, ბირჰოფი, მაგრამ ჩემპიონატი ფაქტობრივად ზამერმა მოიგო! ლიბერომ მოიგო! და სწორედ ამიტომაც არის მათიას ზამერი უნიკალური საფეხბურთო ფენომენი, სწორედ ამიტომ ვერ ელევიან გერმანელები (და არა მარტო გერმანელები) ულიბეროდ თამაშს.

...მაგრამ დღესდღეობით, მათიას ზამერი ხეიბარია, გერმანიის ეროვნული გუნდისათვის ერთ დროს მართლაც ყოჩი ფეხბურთელი ტრავმებმა და ექიმებმა შეიკლეს. ზამერი არასოდეს ყოფილა ტრავმამედეგი, რაც ყოველთვის ხელს უშლიდა და აკი კარიერის პიკსაც 29 წლისამ მიაღწია (დაასახელეს ევროპის 1996 წლის საუკეთესო ფეხბურთელად).

1992 წლის ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მილანის „ინტერში" გამოდიოდა, მაგრამ იქაურობას მაინცდამაინც ვერ შეეწყო და 1994 წლის გაზაფხულიდან დორტმუნდის „ბორუსიაში" ამოჰყო თავი. დორტმუნდელთა მაშინდელ თავკაც ოტმარ ჰიტცფელდსაც სჯეროდა ზამერის და მათიასიც სრულფასოვნად გაიხსნა „ბორუსიაში". ზამერის დრამა კი 1996 წლის შემოდგომიდან დაიწყო. მას პერიოდულად აწუხებდა ტრავმები, ძირითადად ფეხის კუნთებს უჩიოდა, რაც მის თამაშს დაღს ასვამდა. 1996-97 წლების სეზონი მან სანახევროდ ითამაშა (ზამერმა გუნდის ლიდერის ფუნქციები თანდათანობით ანდრეას მიოლერს გადაულოცა), „ბორუსიამ" კი ჩემპიონთა ლიგის თასი მოიპოვა. მათიასი მაინც ტრიუმფატორად დარჩა, მაგრამ არა მის მთავარ შემოქმედად. მომდევნო სეზონში, 1997 წლის 4 ოქტომბერს, „არმინიასთან" მატჩში მათიასმა შტეფან კუნცთან (ისიც ევრო-96-ის ჩემპიონია) შეჯახებისას ურთულესი ტრავმა მიიღო. „ბორუსიის" ექიმი კი ყველას აიმედებდა, ზამერს სერიოზული არაფერი სჭირსო, მაგრამ მწარედ სცდებოდა.

მათიას მუხლის ოპერაცია გაუკეთეს, რეაბილიტაციის პერიოდი კი ჭიანურდებოდა. მალე აღმოჩნდა, რომ ზამერს ძვალში რაღაც უიშვიათესი და მეტად ვერაგი ინფექცია შეჭროდა ექიმთა „წყალობით". განაწყენებულმა ფეხბურთელმა მიუნხენის „ბაიერნის" ცნობილ ექიმ მიულერ-ვოლფარტს მიმართა. „პროფესიონალი ფეხბურთელის მკაცრმა ცხოვრებამ გამომაწრთო სირთულეებისათვის, მაგრამ ამდენი უსიამოვნებებისაგან ხანდახან ბედთან დანებებასაც ვაპირებ" — ამბობდა ზამერი და ერთი სული ჰქონდა ფეხზე წამომდგარიყო, არ ემტყუნა ბერტი ფოგტსისათვის და საფრანგეთი-98-ზე ეროვნულ გუნდს კვლავინდებურად ფეხქვეშ გადებოდა. „მე კიდევ მაქვს იმედი, რომ ჩვენი წითური ვარსკვლავი დაგვეხმარება საფრანგეთში", — აიმედებდა გულშემატკივრებს ბერტი ფოგტსი, რომელიც თან გრძნობდა ამის არარეალურობას. მედიკამენტებით გაჰყეპილ ზამერს კი ამასობაში ღვიძლი გაუღიზიანდა და მონდიალისათვის მისი არგამოჯანსაღებაც გაცხადდა. მაგრამ განა მხოლოდ მონდიალისთვის?



ბერტი ფოგტსს თავისმა ჯილამ „საფრანგეთი-98"-ზე ვეღარ უშველა

ზამერი ახლაც ინტენსიურად მკურნალობს, ფაქტობრივად, ის სიარულს ხელმეორედ სწავლობს. გაჭირვებით დადის სწორ ზედაპირზე, კიბეებზე ასვლა კი ძალიან უჭირს, ექიმებისგან ნებადართული აქვს მცირე ხნით ბატუტზე ხტომა კუნთების მასის აღსადგენად — ეს არის და ეს! გუნდთან ერთად მხოლოდ ჰანტელებით და შტანგით თუ წაივარჯიშებს.

...გერმანიის ჩემპიონატი წინა შაბათს განახლდა. დორტმუნდის „ბორუსია" მანამდე შეკრებაზე იმყოფებოდა თურქეთში, მაგრამ გუნდის თავკაცმა მიხაელ სკიბემ ზამერი იქ არ წაიყვანა, ზამერი უკვე ჩამოწერილ კაცად ჩათვალა და ალბათ სამართლიანადაც, მაგრამ ის ხომ ზამერია, ადამიანი, რომელიც თავს არ ზოგავდა „ბორუსიისათვის" და ფეხბურთელი, რომელიც არც ერთ მწვრთნელს არ შესციცინებდა ისე, როგორც ერთგული ძაღლი თავის პატრონს.

ხეიბარი ზამერი, რაღა თქმა უნდა, ზღაპრულ ჰონორარებს ვეღარ იღებს. „ბორუსია" მას შემცირებულ ხელფასს უხდის, პროფკავშირი კი დღეში 320 მარკას, როგორც დაინვალიდებულ ფეხბურთელს. თუმცა, მისი მომავალი არც თუ ისე უნუგეშო და ბედკრულია. მაგალითად, ბერტი ფოგტსი ირწმუნება, რომ ზამერისაგან ბრწყინვალე მწვრთნელი დადგება, რაშიც გენებიც ხელს უწყობსო (მათიასის მამა კლაუს ზამერი დრეზდენის „დინამოს" მწვრთნელი იყო, ახლა კი გერმანიის 18-წლამდელთა ნაკრებს ხელმძღვანელობს). „ბორუსიის" პრეზიდენტმა გერჰარდ ნიბაუმმა კი განაცხადა, რომ ზამერის კონტრაქტი კლუბთან წლეულს ზაფხულისთვის კი იწურება, მაგრამ მათიასს ასე ადვილად ვერ შეველევი და კლუბში რაიმე თანამდებობას შევთავაზებო.

თვით მათიასი თავის მომავალზე კონკრეტულად არაფერს ამბობს. როცა ის ამ ცოტა ხნის წინათ თანამემამულე ჟურნალისტთა მცირე ჯგუფმა მოინახულა სარეაბილიტაციო ცენტრში, ზამერმა მათ თხოვნით მიმართა: „როცა ჩემზე დაწერთ, ნუ მოიშველიებთ ხმამაღალ ფრაზებს. ნუ შეეცდებით იმას, რომ გულშემატკივრებს თვალზე ცრემლი მოადგეთ, რადგან მათ სრული უფლება აქვთ თქვან: ზამერმა კარგად იცოდა თუ რაზე მიდიოდა და რისკისთვის მას დიდ ფულს უხდიდნენ".

რუმენიგესავით შეუპოვარი და ცეცხლის დამნთები, ბლოხინივით სწრაფი, ბეკენბაუერივით ელეგანტური, თვითმყოფადი, უზადო გრაციით (ეპითეტები და შედარებები გერმანული პრესიდან) — გერმანიის ეროვნული გუნდის წითური, უკვე ყოფილი ყოჩი მათიას ზამერი...

დათო თავართქილაძე

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## თხოვნას კიდევ ერთხელ განიხილავენ

ყაზახეთმა ადრე ითხოვა უეფას წევრად მიღება, მაგრამ უარი მიიღო. ამის შესახებ ალმა-ათაში განაცხადა ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კურალბეკ ორდაბაევმა. ახლა ამ ქვეყანამ უეფას უკვე მეორე განცხადება წარუდგინა. იქ აღნიშნულია, რომ ყაზახეთს ევროპაში ასეულობით ათასი კილომეტრი ტერიტორია ეკუთვნის, სურს გამოვიდეს აზიის ფეხბურთის ფედერაციიდან და უეფას შეუერთდეს.

როგორც ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, ფიფას აღმასკომი მალე განიხილავს ამ თხოვნას.

## ამას „პრესინგი" ჰქვია

ირანის პოლიციამ გადაწყვიტა ზომები მიიღოს სტადიონებზე წესრიგის დასამყარებლად. ამ მიზნით ქვეყნის მთავარ სტადიონებზე, ირანში კი მატჩებს უამრავი მაყურებელი ესწრება, დადგამენ ვიდეოკამერებს და თვალყურს ადევნებენ დამსწრეთა ქცევას, რათა ბოლო მოუღონ ყოველგვარ ინციდენტებს და ძალადობას. ამ ზომების მიღების აუცილებლობა ირანის სტადიონებზე წესრიგის დარღვევებმა გამოიწვია.

## დელ პიერო მკურნალობს

ალესანდრო დელ პიერო ინტენსიურად კი მკურნალობს, მაგრამ სეზონის ბოლომდე „იუვენტუსს" ვერაფერს უშველის. იგი აშშ-ში იმყოფება და საუკეთესო ექიმებთან აქვს კონსულტაცია. ამას წინათ, იგი ქ. ვეილეში დაესწრო მსოფლიო ჩემპიონატს სამთო თხილამურებში, გადაიღო სურათი ოლიმპიურ ჩემპიონ დებორა კომპანიონისთან, რომელსაც თვით ჰქონდა არაერთი ტრავმა და ამდენად, შეუძლია ფეხბურთელს ბევრი რამ ურჩიოს.

## გრანდიოზული ცემა-ტყეპა...

გაჩაღდა სანტიაგოში „უნივერსიდად დე ჩილისა" და ქვეყნის ახლანდელ ჩემპიონ „კოლო-კოლოს" (1-5) მატჩის დროს. შეხვედრის უკანასკნელ წუთებში ჩხუბი დაიწყეს „უნივერსიდადის" მცველმა რიკარდო როხასმა და „კოლო-კოლოს" ნახევარმცველმა მარკოს ვილიასეკამ. მათ ჯერ პირველი რიგის „ინჩარები" შეუერთდნენ, შემდეგ კი აყალმაყალი ყველა ტრიბუნაზე დაიწყო. პოლიციამ 20 კაცი დააპატიმრა, დასჯით კი მხოლოდ ფეხბურთელები დასაჯა. ისინი პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს, შემდეგ კი მხოლოდ თავდებით გამოუშვეს.

## მათეუსის სამომავლო გეგმები

გაზეთ „ბილდის" ცნობით, ლოთარ მათეუსი 2000 წლიდან აშშ-ს კლუბ „მეტროსტარზში" თამაშს აპირებს.

— ყოველთვის ვოცნებობდი ნიუიორკზე. როცა „ბაიერნთან" კონტრაქტი დამიმთავრდება, თუკი ფეხბურთი საბოლოოდ არ მომყირჭდა, ოკეანის გაღმა წავალ.



ამერიკელები (სწორედ ამ კლუბში თამაშობს დავით მუჯირი) მათეუსს ორ წელიწადში სამ მილიონ მარკას სთავაზობენ. „ვამჯობინებდი, ახლავე მეხილა გერმანელი ჩემს კლუბში" — განაცხადა „მეტროსტარზის" მწვრთნელმა ბორა მილუტინოვიჩმა.

ფრანც ბეკენბაუერი თვით თამაშობდა აშშ-ში. იგი ფიქრობს, რომ მათეუსმა უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი.

## ძოძუაშვილის მოწაფე ინგლისში თამაშობს

რევაზ ძოძუაშვილის მოწაფე რიგის „სკონტოსა" და ლატვიის ნაკრებში მირიან პახარი ბალტიისპირეთის ამ ქვეყნის პირველი წარმომადგენელია, რომელმაც ინგლისის პრემიერლიგაში დაიწყო თამაში. ამ დღეებში მან ხელი მოაწერა კონტრაქტს ცნობილ კლუბ „საუთჰემპტონთან", რომელიც ახლა შეუპოვრად იბრძვის უმაღლეს ეშელონში ადგილის შესანარჩუნებლად.

საინტერესოა, რომ „ოქსფორდთან" ამხანაგურ მატჩში, რომელიც „საუთჰემპტონმა" მოიგო ანგარიშით 6-1, პახარმა სამი გოლი გაიტანა.

## „ფლამენგო" ფულს სესხულობს

პოპულარული „ფლამენგო" ბრაზილიის სერიოზული ფინანსური კრიზისის შემდეგ ცუდ დღეში ჩავარდა. იგი იძულებულია ფული ისესხოს, თავისი ფეხბურთელების დასაკმაყოფილებლად. როგორც კლუბის პრეზიდენტმა ედმუნდუ დოს სანტოსმა განაცხადა, ერთმა ადგილობრივმა ბანკმა კლუბს მილიონნახევარი რეალი (დაახლოებით ერთი მილიონი დოლარი) მისცა, მაგრამ მოთამაშეებს ჯერაც არ მიუღიათ დეკემბრისა და იანვრის ხელფასი. ამ სესხმა „ფლამენგოს" პრობლემები მაინც ბოლომდე ვერ გადაჭრა. კლუბი უძლიერეს მოთამაშე რომარიოს დროზე ვერ უხდიდა გასამრჯელოს და ახლა მისი 2,5 მილიონი დოლარი მართებს.

## სტადიონებზე თამბაქოს ვერავინ მოსწევს

საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით, ამიერიდან ქვეყნის სტადიონებზე აკრძალულია თამბაქოს მოწევა. მიზეზი საყოველთაოდ ბავშვობიდანვე ცნობილია: თამბაქო სწამლავს ადამიანის ორგანიზმს. აკრძალვა მწვრთნელებზეც ვრცელდება, რომლებიც მატჩის დროს ბევრს ეწევიან.

საუდის არაბეთის და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებმა უკვე გაშალეს ფართო კამპანია თამბაქოს მოყვარულების წინააღმდეგ. ამ მიზანს ემსახურება თამბაქოს ფასების გაძვირება და რეკლამის შემცირება.

## ზაგალო და ნომერი 13

ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ მარიო ზაგალოს, ტეტრაკამპეონს, როგორც მას უყვარს თქმა, ჯერ ვერავინ „ჩამოწერს". იგი იანვრიდან სან-პაულუს „პორტუგეზას" მწვრთნელია და ამის შემდეგ კლუბს შტატის პირველობაზე დიდი წარმატებები აქვს — ზედიზედ მოიგო 5 შეხვედრა.

რა თქმა უნდა, მოხუცს თავისი უცნაურობებიც აქვს. მაგალითად, მას უყვარს რიცხვი 13, რომელიც ბედნიერად მიაჩნია. ამიტომ მისთვის სპეციალურად დაამზადეს დიდი ნიშანი 13 რიცხვით, რომელიც მის აპარტამენტებთან გამოაკრეს.

## ფედერაციები კვდებიან...

(პირველი გვერდიდან)

გავიხედოთ, ყოფილ სოცქვეყნებშიც არ დაუწყიათ ველოსიპედის გამოგონება, პირიქით, უფრო განამტკიცეს სახელმწიფო რგოლში სპორტის დასაყრდენი. თვით გაერთიანებულმა გერმანიამ ვერ მოირგო გფრ-ის სისტემა. ქვეყანამ დაიწყო პოზიციების დათმობა საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე და ძირითადად ისევ გდრ-ის მოდელს დაუბრუნდნენ. განა ეს დამაფიქრებელი არ არის? საერთოდ, მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს სახელმწიფო სტრუქტურებში ღრმა ინტეგრაციისა და საფუძვლიანად ფეხის მოკიდების ტენდენცია, თვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც იწონებს ფინანსურ თანამშრომლობას სახელმწიფოსთან.

**რა უნდა ვიღონოთ?** ვფიქრობთ, საკმაო დრო გავიდა, რათა რეალობას დავერწმუნებინეთ კურსის გარდაქმნის აუცილებლობაში. მოკლედ, რომ ვთქვათ, უნდა დავუბრუნდეთ ძველ სტრუქტურას, რომლის ეფექტურობაში დარწმუნება, დღეს არავისთვის საჭირო არ არის, ყველას კარგად ახსოვს ყველაფერი, მუშაობის ის სტილიც იოლად „გაიღვიძებს“ თითოეულ მუშაკში.

ერთ საკითხს, ალბათ, მაინც უნდა მოეფინოს ნათელი. ვთქვათ, უარი განვაცხადეთ ძველი სტრუქტურის აღდგენაზე, მაშინ ვინ შემოგვთავაზებს სახელმწიფოსთან ფედერაციების ახლებური ურთიერთობის ისეთ მოდელს, რომელიც კანონიერი, თანაც შედეგიანი იქნება საბოლოო გათვლაში? ასეთ მოდელზე დილეტანტური ოცნება თუ შეიძლება მხოლოდ. დღეს ქვეყანაში ბევრი კანონია ისეთი, რომელიც ქაოსის უფლებას აღარ იძლევა. ჯერ პასუხი იმაზედაც არაა მთლად დასაბუთებულად გაცემული, თუ ვინაა სპორტული ფედერაცია, რაც მთავარია, არაა დადგენილი, კანონიერად, როგორ და რა წესით შეიძლება ფედერაცია დააფინანსოს სახელმწიფომ. ამას იმიტომ ვამბობთ, ახლა იწყება ფედერაციების ხელახალი რეგისტრაცია იურიდიული სტატუსის მისაღებად. ვთქვათ, სპორტული ფედერაცია დააფუძნა ხუთმა პიროვნებამ, როგორ დააფინანსებს ამ კერძო ინიციატივით შექმნილ იურიდიულ ერთეულს სახელმწიფო – სპორტის დეპარტამენტი? ცხადია, ხელშეკრულებით თანამშრომლობა შეიძლება, მაგრამ უკუგების ეფექტზე პასუხისმგებლობა როგორ უნდა მოწესრიგდეს, ხომ არ შეიძლება ფული გაიცეს, მედალი კი ან იქნება ან არა, საერთოდ, კონტროლის სისტემა ხომ უნდა შეიქნას. ხელშეკრულების საკითხს ერთ მოსაზრებამდე მივყავართ. ის ხუთი პიროვნება, რომლებიც დააფუძნებენ სპორტულ ფედერაციას, აიღებენ კონკრეტულ პასუხისმგებლობას საბოლოო შედეგზე? ან ვინ რა კრიტერიუმით განსაზღვრავს წინასწარ მათ კომპეტენტურობას და უნარს? ჩვენი აზრით, რაკი კანონი ასე მოითხოვს და არეგულირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნას, შეიძლება ტენდერიც გამოცხადდეს – წარმოადგინოს რამდენიმე ჯგუფმა თავისი პროგრამა თუ როგორ ესახება ქვეყანაში სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარება, მერე დაჯდება დეპარტამენტის საგანგებო კომისია და განიხილავს ამ პროგრამებს, შეარჩევს ისეთს, რომელიც უფრო ეფექტური იქნება და საქმეს წაადგება, აღიაროს ეს ჯგუფი და მისი პროგრამა, გაუწიოს საგარანტიო რეკომენდაცია შესაბამის საერთაშორისო ფედერაციაში. სხვათა შორის, მონოპოლიურობა რომ გამოირიცხოს, ალბათ დასაშვებია ალტერნატიული ფედერაციის არსებობაც, უკვე სრულიად დამოუკიდებლად (თავისთვის) და თუ დრო გვიჩვენებს, რომ ეს ფედერაცია სჯობნის აღიარებულს, კომისია მას მიანიჭებს უპირატესობას. ამგვარი მიდგომით გამოირიცხება ფედერაციებში ხელმძღვანელებად მოსვლის არაჯანსაღი აჟიოტაჟიც. ხომ შეიძლება ისიც, რომ რომელიმე ჯგუფის ალტერნატიულმა ფედერაციამ, სულაც სპორტულმა კლუბებმა დამოუკიდებლად მოიზიდოს სახსრები, აღზარდოს სპორტსმენები, ჩაატაროს შეჯიბრებები, მაშინ წინა პლანზე მის გამოსვლას აღარაფერი დაუდგება და მას აენთება მწვანე შუქი.

ამ წერილში მხოლოდ ვარაუდები შემოგთავაზეთ, იქნებ ღირს დაფიქრება!

*თენგიზ გაჩეჩილაძე*

# შავი ზღვის თამაშები ჩატარდება

## მეორე თამაშებს შეიძლება ბათუმმა და ფოთმა უმასპინძლოს

**„ლელო“ შარშან იტყობინებოდა, რომ დღის წესრიგში დადგა და განიხილებოდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშების ჩატარების წინადადება, თამაშების დაფუძნებას მხარი დაუჭირეს თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, რუსეთის, უკრაინის, მოლდოვას და საქართველოს სპორტის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა. მერე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თამაშების იდეა ჩაკვდა და მიზეზად თურქეთის მთავრობისა და ქვეყნის სპორტის მინისტრის შეცვლა სახელდებოდა – სწორედ თურქეთი იჩენდა ყველაზე მეტ აქტიურობას და პირველ თამაშებიც 1999 წელს იგეგმებოდა ტრაპიზონში. მაგრამ საქმე თურმე სხვაგვარად ყოფილა და თურქეთი კვლავ რჩება თამაშების ჩატარების ერთგული და მზადაა პირველი ფორუმს ადრე დათქმულმა ამ ქვეყნის ქალაქმა უმასპინძლოს. ამ დღეებში ანკარაში შეიკრიბნენ ზემოხსენებული ქვეყნების ექსპერტები და თამაშების ჩატარების საბოლოო დოკუმენტი შეიმუშავეს. საქართველოს წარმოადგენდა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი სპორტული სამმართველოს უფროსი ამირან აბესაძე, რომელსაც ესაუბრა „ლელოს“ კორესპონდენტი.**

● ***ბატონო ამირან, შევახსენოთ მკითხველებს თამაშების რეგლამენტი...***

— თამაშები 4 წელიწადში ერთხელ ჩატარდება, ოლიმპიური თამაშების წინა წელს, რიგრიგობით მონაწილე ქვეყნების ქალაქებში. პირველ თამაშებს მიიღებს ტრაპიზონი წლეულს, 2-12 სექტემბერს.

● ***საინტერესოა, რა პრინციპით შეირჩა თამაშებისთვის სპორტის სახეობები, არის თუ არა რაიმე შეზღუდვები...***

— სპორტის სახეობები დადგინდა მონაწილე ქვეყნების თანხმობით. ეს სახეობებია მძლეოსნობა, კრივი, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, ტაეკვანდო, ცურვა, მხატვრული ტანვარჯიში, ტყვიის სროლა და მშვილდოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი. ვარაუდობდნენ აფროსნობას, მაგრამ ვერ შევთანხმდით — თუ ოთხ ქვეყანაზე ნაკლები განაცხადებდა სურვილს მონაწილეობაზე ამა თუ იმ სახეობაში, მაშინ ის პროგრამაში ვერ შევიდოდა. ასე ამოვარდა ქალთა ფრენბურთიც.

არანაირი ასაკობრივი, სპორტული ოსტატობის და ა.შ. შეზღუდვები არ არსებობს. ცხადია, წინასაოლიმპიადო წელს ყველა შეეცდება სარბიელზე გამოიყვანოს სწორედ ის სპორტსმენები, რომლებიც ოლიმპიადისათვის მზადების ციკლში არიან ჩართულნი. მაგრამ დროში თუ სხვა უფრო მნიშვნელოვანი შეჯიბრება დაემთხვევა, მაშინ ქვეყანა თავად გადაწყვეტს ძირითადი შემადგენლობით იასპარეზოს თუ სათადარიგო გუნდით დაკმაყოფილდეს. ერთსაც გეტყვით, თამაშებში ნავარაუდევია ქვეჯგუფებად დაყოფა, მაგრამ თუ მსურველთა რიცხვი შემცირდება (მაგრამ არანაკლებ ოთხისა), მაშინ შეჯიბრება მოეწყობა წრიული სისტემით. აქვე დავძენ, რომ შევთანხმდით ზოგიერთ „წვრილმან“ საკითხშიც. მაგალითად, პროტესტის შესატანი თანხა განისაზღვრა 50 დოლარით. შეჯიბრებების მომსახურების უფლება კი მიეცემა ნებისმიერი კატეგორიის მსაჯს, რაც სტიმულს მისცემს ახალბედა არბიტრებს.


ამირან აბესაძე

● ***ჩვენები პროგრამის გათვალისწინებულ ყველა სახეობაში გამოვლენ?***

— აქედანვე ვთქვით უარი ცურვაში ქალთა მონაწილეობაზე. ჩვენი სპორტის დეპარტამენტი და სეოკი ერთობლივი პროგრამით უკვე შეუდგა თამაშებისთვის მზადებას.

● ***დაფინანსებაზე რას იტყვით?***

— მონაწილე ქვეყნები გაიღებენ მგზავრობის, აგრეთვე თითოეულ სპორტსმენზე კვებისა და სასტუმროს 30-30 აშშ დოლარს. ეს, ცხადია, დიდი შეღავათია, ძირითად ხარჯებს დაფარავს მასპინძელი ქვეყანა.

● ***მეორე თამაშებს ვინ უმასპინძლებს?***

— 2003 წლისათვის სურვილი აქვს უკრაინას, მაგრამ თუ უარს იტყვის, ჩვენც ვფიქრობთ წარვადგინოთ ბათუმის და ფოთის კანდიდატურა.

ესაუბრა თ. თომაშვილი

## ? შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** ვარ 23 წლის, დავამთავრე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ვთამაშობდი წყალბურთს. ამჟამად დიდი სურვილი მაქვს სპორტული დაოსტატება გავაგრძელო თანამედროვე ხუთჭიდში. გთხოვთ მირჩიოთ, ვის მივმართო?

*დავით ხავთასი (თბილისი)*

**შეკითხვაზე უპასუხებს საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ამირან შეროზია: ასაკი შესაფერისია, კარგია, რომ ცურავს და სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი დაუმთავრებია. იმისათვის, რომ პრაქტიკულად დავრწმუნდეთ დავით ხავთასის შესაძლებლობებში, ვთხოვთ გვეწვიოს ბ. პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე 11 საათიდან ტირში, 13.30-დან იქვე, საცურაო აუზზე. იკითხოს თენგიზ ჯეჯელავა.**

# რით დაბრუნდა გვასალია სამშობლოში

ქართულ კრივს პაატა გვასალია დაუბრუნდა – 1997 წლის ვიცე-ჩემპიონი და 1998 წლის რუსეთის საუკეთესო მოკრივე. გვასალია 1993 წლის მიწურულს წავიდა რუსეთში და დღემდე არაერთი დიდი გამარჯვება მოუტანა ამ ქვეყნის ნაკრებს, მაგრამ სიდნეის ოლიმპიადისათვის ტიტულოვანმა მოკრივემ საქართველოსთვის გარჯა დააპირა. პაატა გვასალია იმ რანგის სპორტსმენებს მიეკუთვნება, ტყუილი ქადილი რომ არ უყვართ, მათი სიტყვა და საქმე ერთია, ამიტომაც გვასალიას დაპირება, საქართველოში ოლიმპიური მედლის მოსაგებად დავბრუნდიო, ახლოსაა რეალობასთან.

პაატა გვასალიასთან საუბარიც ოლიმპიური პერსპექტივით დავიწყე.

● ***პაატა, რა შანსი გაქვს სიდნეის ოლიმპიადაზე თავის გამოსაჩენად?***

– ოლიმპიადამდე სალიცენზიო ტურნირები და ფილიპინების მსოფლიოს ჩემპიონატია. როცა ლიცენზიას მოვიპოვებ და მსოფლიოს პირველობაზეც თავს გამოვიჩენ, აი, მაშინ თამამად შეიძლება ოლიმპიურ პერსპექტივებზე საუბარი. თუმცა, დღესვე ვიტყვი, რომ სიდნეიში მედლის მოგება ურთულესი საქმე იქნება, ოლიმპიადებზე ყოველთვის არნახული და მძაფრი კონკურენციაა. მაგრამ ჩემი გამოცდილება მავალდებულებს, რომ ოლიმპიური მედალი მოვიპოვო. მოდით, მედლის ხარისხზე გაის ამ დროს ვისაუბროთ. ისე კი, რაღა თქმა უნდა, საქართველოში ჩემი დაბრუნების უმთავრესი მიზანი ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლაა.

● ***ოლიმპიადაზე წარმატებას რუსეთის სახელით უფრო იოლად არ მიაღწევდი? იქაურ მოკრივეთა ხელფასი, პრემიები და მზადების პირობები ჩვენებურთან შედარებით რომ ფუფუნებაა?***

– ჩემი გეგმები მაქვს სპორტში, ჩემი მიზნები ცხოვრებაში. საქართველოდან წავედი მაშინ, როცა აქ სპორტსმენს არ დაედგომებოდა, თანაც მაშინ ძალიან მიჭირდა, თანაც კრივისთვის არავის ეცალა. ახლა ქვეყანაში შედარებით სტაბილურობაა, ვფიქრობ კრივისა და სპორტისთვისაც მოიცლის ქვეყანა. თანაც, კრივის ფედერაციაში ახალი ხალხი მოვიდა, ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ ფალიანიც მხარში მიდგას, ბატონმა კახი ასათიანმაც დახმარება აღმითქვა, დიდი იმედი მაქვს სეოკ-ის პრეზიდენტის ჯანო ბაგრატიონისა. ვფიქრობ, რუსეთიდან წამოსვლა ნამდვილად არ გამიხდება სანანებელი. რაც შეეხება ფულსა და პრემიებს, ფული არ არის ყველაფერი. მინდა, დარჩენილი წლები ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ გავისარჯო.


პაატა გვასალია რუსეთის საუკეთესო მოკრივეთა დაჯილდოების ცერემონიაზე

● ***რა დასამალია, იმასაც ამბობენ, პაატა გვასალიას ხელის მტევნის ქრონიკული ტრავმა აწუხებს და რუსებმა ეგრე იოლად იმიტომ დათმესო. ზოგი კი იმას ამბობს, გვასალია რუსეთში კონკურენტებმა შეავიწროვეს, იქ აღარ დაედგომებოდა და სამშობლოს თავი შეაფარაო.***

– ენას ძვალი არა აქვს, მოშურნე კი არც ერთ სპორტსმენს არ აკლია, რა ვქნა, ილაპარაკონ. მე კი ის ვიცი, რომ ნატკენი ხელით შარშანდელი სეზონი წარმატებით ჩავატარე, კეთილი ნების თამაშების პრიზიორი გავხდი და რამაზ ფალიანთან ერთად რუსეთის საუკეთესო მოკრივედაც მაღიარეს. შარშან რუსული კრივის ენციკლოპედიაშიც შემიყვანეს. რაც შეეხება კონკურენტებს, ხუთჯერ გავხდი რუსეთის ჩემპიონი, ისე რომ, სერიოზული კონკურენცია არ მიგრძვნია. ჩემს წონაში ხეირიან მოკრივედ მხოლოდ ანდრეი პავლიჩენკო ითვლება. მასაც, სადაც შევხვდი, იქ ვაჯობე. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და პავლიჩენკოს ახლაც, ხელმტკივანი, ცალი, სალი ხელით გავლახავ. ასე რომ, კონკურენტებს ნაღდად არ შევუწუხებივარ.

● ***რუსეთში კავკასიური წარმოშობის ხალხი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ. მახსოვს ამ ორი წლის წინ რუსეთის პოლიციასთან შენც გქონდა კონფლიქტი. ამ ამბავმა ხომ არ დააჩქარა შენი სამშობლოში დაბრუნება?***

– კი, ერთხელ გაუგებრობა მოხდა. პოლიციელებმა ყველაფერი გაარკვიეს და ბოდიშის მოხდით გამომიშვეს. რა დასამალია და, ზურგსუკან კი ჩურჩულებდნენ, გვასალიამ რუს მოკრივეებს გზა გადაუკეტა, გაუშვით ეგ კაცი და ჩვენებურები გაილაღებენო. მაგრამ რუსეთის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ბიკოვი და ნაკრების თავკაცი ხრომოვი გვერდით მედგნენ და ჩემს თავს არავის აჩაგვრინებდნენ. საერთოდ, იქაური კრივის ელიტასთან შესაშური ურთიერთობა მქონდა. ბოლო მომენტამდე არანაირი პრობლემა ჩემი ეროვნების გამო, რუსეთის ნაკრებში არ მქონია. წამოსვლითაც, უპრობლემოდ წამოვედი. კი, შეეძლო ბიკოვს საქმეები გაერთულებინა ჩემთვის და ხელოვნური ბარიერები შეექმნა, მაგრამ, როცა ჩემი გულისწადილი გაიგო, რუსეთის ნაკრებიდან განთავისუფლების ფურცელი დაუყოვნებლივ მომცა და მითხრა: შენს ამაგს რუსული კრივის მესვეურნი არ დაივიწყებენ. ახლა კი, გული საითაც გაგიწევს, იქითკენ წადიო.

● ***რუსეთში მოსაქმე ბიზნესმენებმა იციან ხოლმე იქ წასული სპორტსმენების მორალური და მატერიალური მხარდაჭერა. შენც ხომ არ შეგხვდნენ ასეთები?***

– საერთოდ, რუსულ კრივს ბიზნესი ასულდგმულებს, თორემ სახელმწიფოსამარა აქამდე სულს დალევდა. კამჩატკაზე, პეტრო-პავლოვსკში გამართული ტურნირი მოვიგე და იქაურმა ბიზნესმენებმა ჯილდოდ ავტომანქანა „ტოიოტა“ გადმომცეს. ახლაც ამ „ტოიოტათი“ დავდივარ. რა თქმა უნდა, ქართველი ბიზნესმენებიც ხშირად დამდგომიან გვერდით. ჩემთვის დაუვიწყარია მოსკოვში მოსაქმე „სამტრესტის“ დირექტორი ანზორ დარასელია. ამ კაცმა ბევრჯერ საჭირო თანადგომა გამიწია.

● ***პროფესიონალებში რატომ არ წახვედი? იქ ხომ ფულიც და, თუ რიგიანად გაისარჯე სახელიც გაცილებით მეტია სამოყვარულო კრივთან შედარებით?***

– კორეის პროფესიული კრივის კლუბში მიწვევდნენ შარშან. ადრეც მქონდა წინადადებები პროფესიონალური კრივის მენეჯერებისაგან, მაგრამ უარი ვუთხარი ყველას. არსად არ მეჩქარება. ჯერ 26 წლის ვარ. ბოლოხანს კრივი ძალზე გაახალგაზრდავდა, ასე რომ, ერთ-ორ ოლიმპიადას კიდევ მოვასწრებ. ჯერ სამოყვარულო კრივში მოვილევ საქმეს და მერე იქნებ მეც პროფესიული კრივისკენ გამიწიოს გულმა.

ც. ბაქრაძე



# პროფესიული კრივის ამბები

## ტრინიდადი დე ლა ჰოიას უმიზნებს

ნიუ-იორკის ცნობილ დარბაზში, მედისონ სკვერ გარდენში მსოფლიო ჩემპიონმა იბფ-ს ვერსიით 66,7 კგ წონაში პუერტორიკოელმა ფელიქს ტრინიდადმა კვლავ დაამტკიცა, რომ მას ტყუილად არ უწოდებენ მსოფილიოს უძლიერეს მოკრივეს წონის გაუთვალისწინებლად. მან 12-რაუნდიან ბრძოლაში ქულებით სძლია ამერიკელ ექს-ჩემპიონ უიტაკერს, რომელიც მეოთხე რაუნდშივე ნოკდაუნში აღმოჩნდა.



ფელიქს ტრინიდადი (მარცხნივ) პერნილა უიტაკერს უტევს

იმავე დღეს ჰამბურგში მცხოვრებმა 27 წლის უკრაინელმა ვიტალი კლიჩკომ ადვილად დაიცვა ევროპის ჩემპიონის ტიტული მძიმე წონაში, როცა მეორე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა საფრანგეთის ჩემპიონი ისმაილ იუოლუ.

ტრინიდადს საკმაოდ შთამბეჭდავი პერსპექტივა შეექმნა. მან დაასახელა თავისი მორიგი მეტოქე – ვინსენტ პეტვაი, მაგრამ აქვე განაცხადა, რომ უახლოეს დროში შეხვდებოდა ოსკარ დე ლა ჰოიას. „მას სულაც არ მივიჩნევ ჩემზე მაღალი კლასის მოკრივედ, მაგრამ თუ მეტყვიან, რომ ოსკარი მე მელის, აუცილებლად ჩავალ მასთან საბრძოლველად", – თქვა ჩემპიონმა.

რაც შეეხება 35 წლის უიტიკერს, შეიძლება მისი კარიერა დამთავრებულად ჩაითვალოს.

## ჩემპიონმა დათმო ნოდება

იმავე დღეს მედისონ სკვერ გარდენში გაიმართა კიდევ ერთი ბრძოლა იბფ-ს ჩემპიონის ტიტულისათვის. ამერიკელი ვინსენტ ფილიპსი იცავდა ჩემპიონობას 63,5 კგ წონაში თანამემამულე ტერონ მილეტთან. მილეტმა ორჯერ გაგზავნა ფილიპსი ნოკდაუნში და მეხუთე რაუნდში დაამთავრა ბრძოლა.

## ევროპის ჩემპიონი ვბო-ს ტიტულისათვის გაირჯება

საკმაოდ კერკეტი მეტოქე ჰყავდა შაბათს ვიტალი კლიჩკოსაც ჰამბურგის რინგზე: იუოლის ვიდეოჩანაწერით გულდაგულ შეუსწავლია მისი სუსტი მხარე და სათანადო დასკვნა გამოუტანია. ფიზიკურად ძლიერ ფრანგ მოკრივეს კარგად ესმოდა, რომ ძლიერი ზუსტი დარტყმა თავში მას გამარჯვებას მოუტანდა და მთელი 2 რაუნდი ამისკენ ისწრაფვოდა. მაგრამ უკრაინელმაც აღმოაჩინა მის ბრძოლაში „ვნებადი" ადგილები, კონტრშეტევები რამდენიმე ირიბი დარტყმით დაამთავრა, რამაც გამარჯვება მოუტანა კიეველ მოკრივეს.

ახლა კლიჩკო ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობისათვის იბრძოლებს. მისი მეტოქე იქნება ინგლისელი ხერბი ხაიდი, რომელიც დასწრებია ბრძოლას ჰამბურგში და ტელევიზიით გამოსვლისას უთქვამს, რომ იგი არაუგვიანეს მეხუთე რაუნდისა დაანოკაუტებს კლიჩკოს. უკრაინელმა პასუხი ორი-სამი თვით გადადო, როცა ისინი რინგზე შეხვდებიან. თუ ვინ მოირგებს მსოფლიო ჩემპიონის ქამარს, ამას მათი ბრძოლა გადაწყვეტს.

## მაიკის მეტოქეების...

იმავე დღეს კიდევ ორი საინტერესო შეხვედრა გაიმართა მძიმეწონოსანთა შორის. იტალიის ქალაქ ვერონაში სახელგანთქმულ ტაისონის ყოფილმა მეტოქემ, 34 წლის კანადელმა დონოვან რადოკმა მე-6 რაუნდში ნოკაუტით სძლია უილისს.

38 წლის ამერიკელმა ჯეიმს ბასტერ დაგლასმაც ნოკაუტით მიაღწია გამარჯვებას – ენდრიუ კროუდერთან. შეგახსენებთ დაგლასმა 1990 წელს პირველმა დაამარცხა მაიკ ტაისონი.



# ჯორდანს არ ივიწყებენ

პროფესიული კალათბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგაც მაიკლ ჯორდანი განაგრძობს საჩუქრების მიღებას. ამჯერად იგი დაჯილდოვდა პრიზით, რომელსაც „ფერადი" ადამიანების პროგრესის ასოციაცია ყოველწლიურად გადასცემს გამარჯვებულებს. პრიზის ლაურეატებად ასახელებენ აფრო-ამერიკელებს, რომელთაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს მოღვაწეობის სხვადასხვა დარგში – ლიტერატურაში, კინემატოგრაფიაში, აუდიოჩანაწერებსა და ტელევიზიაში. წლეულს პირველად დაწესდა სპორტული ჯილდო, რომელიც ჯორდანს ერგო. დაჯილდოების ცერემონიამ ჩაიარა პასედენში.

## ნაკრების მწვრთნელობის №1 კანდიდატი

ნბა-ს კომისრის მოადგილის რას გრენიკის თქმით, „ჰიუსტონ როკიტს-ის" მთავარი მწვრთნელი რუდი ტამჯანოვიჩია ამერიკის ნაკრების, რომელიც სიდნეიში გამოვა ოლიმპიურ თამაშებზე, მთავარი მწვრთნელის ძირითადი კანდიდატი. გუნდის შემადგენლობაში ნბა-ს წამყვანი მოთამაშეებიც შევლენ.

ტამჯანოვიჩი ამერიკის გუნდს სათავეში ედგა შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში, ათენში. მაგრამ იქ მისი ხელქვეითები იყვნენ სულ სხვა კლუბების მოთამაშეები, ვინაიდან ლოკაუტის გამო ნბა-ს ვარსკვლავებმა უარი თქვეს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

ამერიკელებს შერჩევით ტურნირში მოუხდებათ ოლიმპიური საგზურის მოპოვება, ვინაიდან ისინი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნები არიან, რაც არ იძლევა სიდნეის თამაშების ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას.

## ეს ჯიუტი კაცი ანტარქტიდას და ჩრდილოყინულოვან ოკეანეს გადაკიდა

*(პირველი გვერდიდან)*

ლამდე მთელი 200 კმ-ით დაშორებით ამინდის გაუარესების გამო შეწყვიტა ლაშქრობა და იძულებული გახდა მაშველი თვითმფრინავისთვის ეხმო. მანამდე, ასევე უშედეგოდ დაასრულა ტრანსარქტიკული მოგზაურობა, თუმცა ჩრდილოყინულოვანი ოკეანე მაინც „დაიმორჩილა". ეს მოგზაური არ ეშვება აკვიატებულ აზრს – გახდეს პირველი ადამიანი, რომელიც მარტოსული გადაჰკვეთს პლანეტის ორივე „სახურავს".

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება დიდუბის რაიონის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის

სულიკო რამინიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაუგრძნობს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის ძიუდოს განყოფილების უფროსს ვაჟა ბალხამიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

თბილისის მერიის სპორტული სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლა თანაგრძნობას უცხადებს ვაჟა ბალხამიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი თანაგრძნობას უცხადებს ამავე სასწავლებლის ძიუდოს განყოფილების უფროსს ვაჟა ბალხამიშვილს მამის

ნიკოლოზ ბალხამიშვილის

გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს ფიზკულტურისა და სპორტის გაერთიანების ჩოგბურთის სპორტული სკოლა და ამავე სკოლის დირექტორი გურამ თოხაძე თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის მოსწავლეს მაკა ჩახნაშვილს მამის

ივანე (ვანო) ჩახნაშვილის

გარდაცვალების გამო.

# რა ხდება ქვეყანაზე

## წყალნაღებული ოლიმპიურმა ჩემპიონმა იხსნა

ვოლგოგრადელი ოლიმპიური ჩემპიონი, ძალოსნობაში ალექსეი პეტროვი, რომელიც ოფიციალურად შვეციაში ცხოვრობს მეგობრებთან ერთად ვარჯიშიდან თავისუფალ დროს დონზე სათევზაოდ წავიდა. მეგობრებმა შენიშნეს, რომ გაყინულ მდინარეზე გადასვლისას მამაკაცს ჩაუტყდა ყინული, ძლიერი დინება, სადაც იყო მოიტაცებდა მსხვერპლს, მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონმა მეგობრის დახმარებით იგი სამშვიდობოზე ამოიყვანა. იმ ბედნიერმა, არც კი იცის ვინ იხსნა, არც უკითხავს, მადლობა თქვა და მთლად სველმა შინ მოკურცხლა.

## აველანჟეს ამხელს ჟურნალისტი

ცნობილმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა დევიდ იალოპმა, რომელიც არაერთი სენსაციური წიგნის ავტორია, გამოსცა კიდევ ერთი ნაშრომი, რომელშიც იგი ბრალს სდებს ფიფას ყოფილ პრეზიდენტს და მის გარემოცვას შავ ბიზნესში მონაწილეობაში. წიგნს ჰქვია „როგორ მოიპარეს თამაში". მასში აღწერილია თუ როგორ იქცა ფეხბურთი დიდ ბიზნესად უშუალოდ ავალანჟის ხელშეწყობით. აველანჟე მხილებულია ფარულ გარიგებებში, კორუფციაში და იარაღით ვაჭრობაშიც კი. თურმე წინასაარჩევნო კამპანიაში, ბრაზილიის ერთ-ერთი ბანკი რამდენიმე მილიონი დოლარით „შეეწია" ფიფას მომავალ პრეზიდენტს. ფული კი მაშინ ავალანჟეს ძალიან სჭირდებოდა, როგორც ახლა ირკვევა, იგი 86 ქვეყანას სწვევია მხარდამჭერთა გადასაბირებლად.

# საფეხბურთო კროსვორდი

(1998 წელი მსოფლიო ჩემპიონატზე განაცხადის მიხედვით)















1. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 2. შოტლანდიელი ფეხბურთელი, 3. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 4. შოტლანდიელი ფეხბურთელი, 5. ფრანგი ფეხბურთელი, 6. იაპონიის კლუბი, 7. კორეელი ფეხბურთელი (ფოტო), 8. ნორვეგიელი ფეხბურთელი, 9. დანიელი ფეხბურთელი, 10. საუდის არაბეთის ფეხბურთელი, 11. ავსტრიელი ფეხბურთელი (ფოტო), 12. ჩილელი ფეხბურთელი (ფოტო), 13. აშშ-ს ფეხბურთელი, 14. პარაგვაელი ფეხბურთელი, 15 ჩილელი ფეხბურთელი, 16. ავსტრიელი ფეხბურთელი, 17. ესპანელი ფეხბურთელი, 18. ხორვატიელი ფეხბურთელი, 19. ჰოლანდიის კლუბი, 20. გერმანიის კლუბი, 21. ესპანეთის კლუბი, 22. კორეელი ფეხბურთელი, 23. ირანის კლუბი, 24. ინგლისელი ფეხბურთელი, 25. ირანელი ფეხბურთელი (ფოტო), 26. ფრანგი ფეხბურთელი, 27. მექსიკელთა მწვრთნელი (ფოტო), 28. იამაიკელი ფეხბურთელი (ფოტო), 29. კორეელი ფეხბურთელი, 30. რუმინელი ფეხბურთელი, 31. ირანელი ფეხბურთელი, 32. არგენტინელი ფეხბურთელი, 33. ტუნისელი ფეხბურთელი, 34. ხორვატიელი ფეხბურთელი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლc2! მუქარა 2. ლ:f5X.
1. ...f4 2. ლg6+ მფ:f3 3. ეh3X.
1. ...მფf3 2. ეg5 f4 3. ლd3X.
2. ...მფf4 3. ლ:f5X.
1. ...მფ:h5 2. ლ:f5+ მფh6 3. კf8X.
2. ...მფh4 3. კe7X.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული საფეხბურთო კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. შირერი, 2. ვიალი, 3. დერბი, 4. ეუსებიო, 5. იანგი, 6. ჰაჯი, 7. ინძაგი, 8. ვიერი, 9. დიდი, 10. მეტრეველი, 11, რივალდო, 12. პარმა, 13. სამორანო, 14. „აიაქსი", 15. „შალკე", 16. შუკერი, 17. ესტეი, 18. ციგე, 19. ამორო. შვეულად: 20. პელე, 21. ზიკო, 22. პლატინი, 23. ჯენგი, 24. ვიორნსი, 25. იაშინი, 26. ჩილავერტი, 27. ბაჯო, 28. ორტეგა, 29. მიულერი, 30. ბერგომი, 31. ნანტი, 32. პალიუკა, 33. კიოლნი, 34. ჰოფტუნი, 35. სტევიჩი, 36. ილიევი, 37. რომა, 15. შიფო, 17. ეტო, 8. ვინტერი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე